- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, სკოლას დამტკიცებული აქვს სამეურვეო საბჭოზე 2023 წლის 04 ივლისის ბრძანებით . დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუქტურისა და

თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. განსაზღვრულია ახალი თანამრომლის სოციალიზაციის პირობები, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების სისტემა. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის დებულება აწესრიგებს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობას. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ. შესაბამისად, შეფასების საფუძველზე ხდება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

2.. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სკოლას განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარება სკოლის ბაზაზე, დაფინანსება და შესაბამისი თანხის გამოყოფა, ანაზღაურებადი შვებულება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. დაწესებულებას ჯერ არ აქვს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

3. სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვით ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამავდროულად სკოლის სტრატეგიული გეგმით გაცხადებულია რომ სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით: დანერგავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შიდა მექანიზმებს, გუნდური მუშაობის პრინციპებს, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ მიდგომებს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მოხდება გამოცდილების გაზიარება. ყველა ზემოაღნიშნული კი ჩაშლილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტში 2023-2024 სასწავლო წლისათვის. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

4. სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სოციალიზაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ახალმიღებული თანამშრომლის მუშაობაზე მოწყობასა და სწრაფ ადაპტაციას, რაც ითვალისწინებს სწრაფად გარკვევას მნიშვნელოვან საკითხებში, შფოთვის და სტრესის შემცირებას, ეფექტური სოციალიზაციას, ლოიალობისა და ერთგულების ჩამოყალიბებას.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

5. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულების თანახმად ხარისხის ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობა პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციების გაცემაა- რა ტიპის ტრენინგი და გადამზადება გაიაროს პერსონალმა.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულება საგანამანათლებლო საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს

საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლა, როგორც ორგანიზაცია და ინსტიტუცია, თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. დაწესებულებას აქვს დაგეგმვის და მონიტორინგის პრაქტიკა. სსიპ ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20ივლისის #1/კ-56 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება ციკლური ხასიათისაა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მართვისას იყენებს სკოლის მართვის პროცესულ მიდგომას, ხელს უწყობს დაწესებულების ყველა რგოლის ერთი მიზნისკენ მიმართვას და მონიტორინგსაც უწევდა შესრულებულ სამუშაოებს.*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია*

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები გაწერილია ( აღწერილია) სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში, ხელშეკრულებებში, ბრძანებებში. განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ საქმიანობებს პროცესების უზრუნველსაყოფად სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის სერვისების განხორციელების ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი,რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N 2-105 ბრძანებით, საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი, საქმისწარმოების წესი (დოკუმენტბრუნვა). სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა საქმისწარმოების განხორციელება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშ ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემის ეფექტური განხორციელების თვალსაზრისით სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი; • მშობლის მიერ სემესტრული გამოცდის მოთხოვნის უფლება გაწერილია შესაბამისი პროცედურებით;  გასაჩივრების პროცედურები დაცულია კანონმდებლობით და არის ეფექტური. გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით დაინტერესებულმა პირმა შესაძლებელია მიმართოს დისციპლინურ კომიტეტს, სამეურვეო საბჭოს და ა.შ. აუცილებლობის შემთხვევაში სკოლას შეუძლია შექმნას სააპელაციო კომისია. სკოლის დისციპლინური კომიტეტი ემსახურება დისციპლინური გადაცდომების განსახილვას, მასში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები(პედსაბჭოს წარდგენით); სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური სახდელები და დარღვევათა ტიპები. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სასწავლო წლის დასაწყისში მისი გაცნობა ხდება მშობლებისთვის მშობელთა კრებებზე და მოსწავლეებისთვის კლასის კრებებზე.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური სახდელები თანამშრომელთა თუ მოსწავლეთა მიერ სხვისი უფლებების შელახვის შემთხვევაში; მუშაობს დისციპლინური კომიტეტიც, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა ან მოსწავლეთა მიერ ჩადენილი გადაცომების განხილვას; • მრჩეველთა საბჭო უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოების, მიმდინარე პრობლემური საკითხების განხილვასა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წესების დაცვას.პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა და სკოლაში დასაქმებულთა შრომით ხელშეკრულებებში. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელშიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

გაწერილია მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი.რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N2-104 ბრძანებით.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):.

✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
✓ პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
✓ სკოლის სოციალური გვერდი.
✓ სკოლის ვებგვერდი

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები სკოლას უზრუნველყოფილი აქვს შემდეგნაირად: - აქტიურადაა გამოყენებული როგორც კლასის დამრიგებლების მიერ საზოგადოების ინფორმირებას, ისე სხვადასხვა სახის საინფორმაციო წყაროები, როგორიც არის სოციალური ქსელი, ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

საინფორმაციო დაფა, - პროცესში აქტიურად მონაწილეობს სკოლის დირექციაც, რომელიც პერიოდულად მართავს შეხვედრებს როგორც თანამშრომლებთან, ისე მოსწავლეებთან და მოსწავლეთა მშობლებთან, სკოლა მშობლების ინფორმირებისა და უკუკავშირისათვის იყენებს გამოკითხვის ფორმას. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ინფორმაციის გავრცელების ფორმები სხვადასხვა ჯგუფებში, საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების ფორმები, ასევე მიღებული უკუკავშირის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება. უკუკავშირის მიღება გათვალისწინებულია ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშიც.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

2. ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

✓ სტრუქტურული ერთეულების,პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმეტი.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. .სკოლას ჰყავს მანდატურები, 3 დარაჯი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, უსაფრთხოებაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, დამლაგებლები. სკოლაში მკაცრად კონტროლდება უცხო პირთა შემოსვლა, დარაჯი სარეგისტრაციო ჟურნალში ატარებს ყველა შემომსვლელ პირს, სკოლიდან მოსწავლეთა გაკვეთილების დასრულებამდე გასვლა ხდება საშვთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სისტემის გამოყენებით ; სკოლის მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით სკოლაში მიმდინარე აქტივობებს, მონიტორინგს უწევს მიმდინარე პროცესებს, გასცემს სათანადო რეკომენდაციებს და ისახავს სამომავლო გეგმებს; • სკოლაში არის მანდატურის სამსახური, სკოლის პერიმეტრის 24 საათიან დაცვას და შემოსასვლელი კარის კონტროლს ახორციელებს სკოლის დარაჯი. სკოლაში დამონტაჟებულია 12 ვიდეოთვალი. ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომლის აღჭურვილობა შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, შემუშავებულია საევაკუაციო გეგმა, ინფრასტრუქტურა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინკლუზიურ განათლებას, სკოლაში შექმნილია თანასწორუფლებიანი, ემოციურად უსაფრთხო გარემო, სკოლის ეზო შემოფარგლულია ღობით.სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს.დაწესებულებამ წარმოადგინა უსაფრთხოების დაცისა და წესრიგის დაცვის წესის და პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე 2023 წლის 4 ივლისს.პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას აქვს განსაზღვრული საშტატო ერთეულით ექიმის პოზიცია.ექსპერტებმა შეისწავლეს შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პირის პირადი საქმე დადასტურდება, რომ მას აქვს შეაბამისი კვალიფიკაცია.სკოლას აქვს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.სკოლას აქვს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შესაბამისი ორგანოდან (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო). სკოლაში წყალმომარაგება არის უწყვეტი. სკოლას გააჩნია წყლის ავზი, რომელსაც მხოლოდ ტექნიკური საჭიროებებისათვის იყენებს. სკოლაში დაპროექტებულია სახანძრო სისტემა საქართველოში მოქმედი კანონისა და სტანდარტების მიხედვით. სკოლას აქვს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------- ------------------------- -------------------------

დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ .***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ სკოლის მანდატურები, სკოლას ჰყავს 3 მანდატური; სკოლაში აქტიურად მუშაობს დამრიგებლის ინსტიტუტი, დამრიგებლები და მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ სასკოლო აქტივობების დროს მოსწავლეთა წესრიგის დაცვას. მოსწავლეები და მასწავლებლები მორიგეობენ დერეფნებში. სკოლის კარები კონტრილდება დარაჯის მიერ, უცხო პირთა სკოლაში შემოსვლა ხდება სპეციალური წესის მიხედვით ( სარეგისტრაციო ჟურნალში გატარება), აგრეთვე საგაკვეთილო პროცესის დროს მოსწავლეთა გაშვება ხდება საშვის საფუძველზე. სკოლაში გამართულად მუშაობს 12 ვიდეო სამეთვალყურეო კამერა..***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლის ადმინისტრაცია და საგნის მასწავლებლები ცდილობენ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემოს შექმნას, სადაც თითოეული მოსწავლე დაცულად იგრძობს თავს და ფსიქო-ემოციური განვითარების საშუალება მიეცემა. ასევე პოზიტიურია მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ურთიერთობები. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის დირექციის მიერ კონტროლდება რამდენადაა დაცული მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მშობლებს, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს შორის თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია. დარღვევების აღმოჩენისას, სკოლა სათანადოდ რეაგირებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.. საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებს; სკოლაში სადამრიგებლო საათები განსაზრვრულია დაწყებით კლასების შემთხვევაში თვეში ორჯერ, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურისთვის თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები განიხილავენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბურია ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კლასისთვის მნიშვნელოვან, მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს; სკოლაში არის მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკი, რომელიც ახორციელებს სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრებს; სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა, მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და ყველა დაინტერესებულმე პირმა ითანამშრომლოს დირექციასთან და ერთმანეთთან. სკოლაში არის ფსიქლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემო, რასაც ხელს უწყობს გუნდური მუშაობა, სკოლის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; სკოლას აქვს ძალადობის პრევენციის ეფექტური მექანიზმი, რომელიც ასახულია სადამრიგებლო პროგრამებში, სკოლაში პერმანენტულად ხდება სკოლის სოციალური მუშაკის და მანდატურების მხრიდან საუბრები ძალადობის ამოცნობის და მისი თავიდან აცილების შესახებ, ტარდება ბულინგის წინააღმდეგ მიმართული კვირეული, მასწავლებლები ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგ კურსს ,, სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის ხელშეწყობა“***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

4. სკოლაში არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები, გამოიყენება სადეზინფექციო საშუალებები სველი წერტილების დასამუშავებლად, თხევადი საპონი და თანამედროვე ხელსაშრობი მოსწავლეებისა და პერსონალისათვის.ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები, დერეფნები, სკოლას ემსახურება 5 დამლაგებელი, სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო. სკოლას შემუშავებული აქვს დასუფთავების წესი, რომლის მიხედვთაც სველი წერტილები მუშავდება სპეციალური სადეზინფექციო ხსნარით არანაკლებ დღეში ორჯერ, სასწავლო დღის დაწყებისას და დასრულების შემდეგ. აგრეთვე სველი წერტილების დასუფთავება ხდება დღის განმავლობაში რამდენჯერმე, ყველა შესვენების შემდეგ. სკოლაში არის სუფთა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას შენობა იყო მოწესრიგებული და დაცული იყო ჰიგიენის ნორმები***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***.

5. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით არის დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი. სკოლა მესამე პირების წვდომისაგან იცავს კანონმდებლობით დაცულ პერსონალურ ინფორმაციას, ასევე ინფორმაციას მათი ჯანმრთელობის შესახებ. სკოლის მიერ პერსონალური ინფორმაცია მუშავდება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით და მოცულობით. დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მშობლებს ინფორმაციას შვილის წარმატებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ, სკოლაში ფუნქციონერებს ელექტრონული ჟურნალი, რითიც ხდება ინფორმაციის პირადად მშობლისთვის გაზიარება. სკოლაში დაცულია მოსწავლისა და მათი მშობლების, ასევე სკოლაში დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაცია. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა მექანიზმის დოკუმენტის გაცნობას სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეებისთვის, ხოლო დაინტერესებულ პირებს განუმარტავს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***.

6. სკოლაში უზრუნველყოფილია ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვა, სისტემატიურად მიმდინარეობს ანტივირუსული სისტემის განახლება, სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სოციალურ ქსელში მოსწავლეთა ფოტოების გამოქვეყნებაზე ნებართვას არეგულირებს მშობლებთან დადებული ხელშეკრულება, რომელშიც იკითხება, რომ მათი შვილების ფოტოების განთავსება სკოლის სოცილურ გვერდზე მხოლოდ სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და სკოლის პოპულარიზაციის მიზნით შეიძლება. სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ კვლევით აქტიოვზებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მოსწავლეთა ჩართვა არ ხდება, თუკი მშობლის წერილობითი თანხმობა არ არსებობს; უცხო პირებზე პერსონალური მონაცემები არ გაიცემა ზეპირსიტყვიერი გზითაც კი.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

7……. დაწესებულებას შემუშვებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ სკოლის შინაგანაწესი;

✓ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები;

✓ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

✓ პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი;

უფლაბამოსილ ორგანოსთან/პირთან შეტანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

დასკვანა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთანშესაბამისობის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლა არის რეაბილიტირებული, მის საკუთრებაში არსებული ფართი 5787,18 კვ.მ ( 40 საკლასო ოთახი, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სასადილო) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. მას აქვს სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა,სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ორი გარე მოედანი, აღჭურვილია სტემის ლაბორატორიით და კომპიუტერული ტექნიკით. სკოლა სრულ შესაბამისობაშია მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან;სკოლის ყველა სართულზეა სველი წერტილები. სკოლას აქვს სსსმ პირთათვის ადაპტირებული საპირფარეშო, თუმცა არ აქვს პანდუსი და არ აქვს ლიფტი; გასარემონტებელია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ოთახები. ***ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული***

2. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები, გადაამოწმეს მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტთა შეფასებით სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის სივრცეები: ფოიე, დერეფნები, საკლასო ოთახები, რესურს-ოთახები, · კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი -აიტის კაბინეტი, ადმინისტრაციული სივრცე - სამუშაო სივრცე ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სპორტული დარბაზები, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა და სხვა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.ათვისებულია დერეფნების სივრცეც, კერძოდ, ეწყობა მოსწავლეთა გამოფენები, ვიდეოჩვენებები, პროექტების ფარგლებში შექმნილი პრეზენტაციები და სასწავლო აქტივობები; • დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სასკოლო ტექნიკისა და ბიბლიოთეკის გამოყენების წესი და განრიგი, რომელიც გამოკრულია საჯაროდ და ცნობილია ყველასთვის;***ინდიკატორი  დაკმაყოფილებულია***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. სრულად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისათვის. ბიბლიოთეკა, სააქტო და სპორტული დარბაზები, კომპიუტერული ლაბორატორია, გარე მოედნები მასწავლებლების მიერ აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა სასწავლო აქტივობის განსახორციელებლად როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში. სკოლაში ფიზიკური გარემოს მხრივ ყველა პირობაა შექმნილი ყველა ტიპის მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად. დაწესებულებას აქვს საკმარისი ინდივიდუალური მერხები, სკოლის რესურსოთახი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სკოლის კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერებით, არის ადაპტირებული საპირფარეშო;თუმცა არ არის პანდუსი. სპორტული დარბაზი აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, გასახდელებით, ეზოში არსებობს ღია სპორტული მოედანი.**ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლა პანდუსითა და ლიფტით.სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას 15.11.2024-მდე, შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა „*მეტწილ შესაბამისად*"**

4. სკოლაში არის სასიამოვნო გარემო. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. ფართო ნათელი დერეფნები, მოწესრიგებული სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. არის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს. მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რომ ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი.

5. სკოლას გააჩნია სრულყოფილი მატერიალურ ინფრასტრუქტურული რესურსი. სკოლის შენობა არის გარემონტებული, საკლასო ოთახები განლაგებულია შენობის ოთხივე სართულზე, ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მერხებით, სასკოლო დაფით, მასწავლებლის მაგიდით, კარადით, ტანსაცმლის საკიდით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. სკოლის სპორტ- დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფეხბურთისა და კალათბურთის ბურთები, ჭადრაკი, ბადმინტონი. ყველა საერთო სარგებლობის სივრცეში( სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაცია, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახში,) განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა, რომლის გამოყენებაც ხელმისაწვდომია ყველასთვის.დაწესებულება უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

. ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

✓ შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი;

✓ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. .სკოლას აქვს 10 პროექტორი და 34 ლეპტოპი, სრულად გამართული კომპიუტერული ლაბორატორია 25 პერსონალური კოპიუტერით და ერთი პროექტორით, ლეპოტოპები გადანაწილებულია სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში, რესურს ოთახში, მანდატურების ოთახში, ექიმის კაბინეტში, ადმინისტრაციასა და დირექციაში, რომელთა გამოყენებისთვისაც შექმნილია სპეციალური წესი, სკოლაში გამოიყენება ლოკალური ქსელის უსადენო კავშირი; კომპიუტერული ტექნიკა აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში და ასევე სხვადასხვა პროექტის მოსამზადებლად და მათი განხორციელბისას. ეს ყოველივე დადებითად აისახება აკადემიური მოსწრების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშვილი ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ხარისხზე; • ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას ხელს უწყობს სკოლაში არსებული უწყვეტი ინტერნეტ კავშირი და გამართული კომპიუტერული ტექნიკა.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

2. სკოლის პერსონალის ეფექტურად მუშაობისთვის სკოლაში არის ვაიფაი და სრულად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე ლეპტოპები და პროექტორები, რომელთა დახმარებითაც ტარდება ონლაინ შეხვედრები, ტრენინგები მასწავლებლებისთვის, იქმნება რესურსები. სკოლას ტექნიკის გამოყენებაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში ტექნიკის გამოყენების აღრიცხვას, რაც დასტურდება სპეციალურად შექმნილ ფორმაში ხელმოწერით. შემუშავებული აქვთ სპეციალური გეგმა/გრაფიკი, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ არსებული კომპიუტერული ტექნიკით. აგრეთვე დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სკოლის ციფრული განვითარების გეგმა. მაგ. მოსწავლეები INTEL-ის პროექტებზე მუშაობისას იყენებდნენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას. აგრეთვე ეროვნული ოლიმპიადის მსვლელობის დროს მოსწავლეებს სპეციალური განრიგით აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სკოლის კომპიუტერით. მასწავლებლებს დროებით სარგებლობაში აქვთ ნოუთბუქები, მათთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

✓ ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამის საქმის წარმოების წესი. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. სკოლა იყენებს eflow და eschool-ის სისტემებს საქმისწარმოებისა და მონაცემთა ბაზებისათვის; სკოლას აქვს ოფიციალური ელ-ფოსტა, იყენებს ისეთ თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365 და სხვა პლატფორმები.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი, სადაც განთავსებულია /ასახულია შემდეგი სახის ინფორმაცია/ პროცესები: ა) მოსწავლის ჩარიცხვა/გარიცხვა/ამორიცხვა; ბ) მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა; გ) მოსწავლის მიერ კლასის/სემესტრის დაძლევა; დ) მოსწავლის მობილობა; ე) საგაკვეთილო ცხრილის შექმნა, მათ შორის ,არჩევითი საგნის დამატება; ვ) მასწავლებლებისთვის საგნების განაწილება; ზ) მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული აქტივობები; თ) მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული სტატუსების ასახვა; ი) დაწესებულებების მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების არჩევა; კ) ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გამოცდების შედეგების ასახვა; ლ) იმ პირების შესახებ ინფორმაციის/მონაცემის ასახვა, რომელთაც მოიპოვეს საბაზო და/ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ატესტატის მიღების უფლება; მ) წარჩინებულ მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის/მონაცემის ასახვა; ნ) სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგების შეჯამება, სამეურვეო საბჭოს/საბჭოს წევრის/წევრების უფლებამოსილების წარმოშობის და უფლებამოსილების შეწყვეტის რეგისტრაცია; ო) სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების შეჩერება/აღდგენა; პ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა პროცესები.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

4.დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა ფინანსური ანგარიგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე, როცა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშ ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიში ყოველი წლის 10 დეკემბერს წარედგინება საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ მინისტრს და ქვეყნდება ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. სკოლის დირექტორი 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს სკოლის საქმიანობის და ფინანსურ ანგარიშებს. სკოლა თავსი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას განათავსებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე, მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება სხვადასხვა არხის მეშვეობით: სოციალური ქსელები, სკოლის სტენდი, ელექტრონული წერილები, ელექტრონული ჟურნალების კომენტარები, მშობლებისთვის განკუთვნილი ბარათები, მშობლებთან სატელეფონო საუბრები, ინდივიდუალური შეხვედრები პირისპირ, მშობელთა კრებები.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ საქმისწარმოების წესი;
✓ სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
✓ გატარების ჟურნალები;
✓ ერთიანი ელექტრონული სისტემა.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაცუაშვილი ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს საინფორმაციო დაფებს უშუალოდ სკოლის სივრცეში და ასევე სოციალურ ქსელში ოფიციალურ გვერდსა თუ მშობელთა დახურულ ჯგუფებს. მაგ. პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადების ცვლილების შესახებ ინფორმაცია გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და ატვირთულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე. • ინფორმირების მიზნით აწარმოებენშეხვედრებს როგორც ფიზიკურ სივრცეში , ასევე ონლაინ შეხვედრების ფორმატსაც მიზნობრივ და დაინტერესებულ ჯგუფებთან; სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, რაც გამოიხატება მშობელთა კრებების ჩატარებაში ონლაინ რეჟიმსა და პირისპირ შეხვედრებისას, მათთვის კომპლექსური დავალების ბარათების გაცნობაში და ა.შ. • სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). გარდა კონკრეტულად განსაზღვრული დღეებისა, მშობელი შეზღუდული არ არის ნებისმიერ დროს შეხვდეს დირექციას, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს მათთან შეთანხმებით.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სკოლა ასაჯაროვებს და ავრცელებს საკუთარი საქმიანობის, მათ შორის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მხოლოდ სანდო და უტყუარ ინფორმაციას; ინფორმაცია ვრცელდება საერთო სასკოლო კრებების მეშვეობით. ამავდროულად, სკოლის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებზე ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ Facebook-ის გვერდსა და ვებგვერდზე.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი,რომელიც  განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას თავისი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან. ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

4. სკოლაში სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

5. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია: მისია, ხედვა , ღირებულებები, სტრუქტურა,სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, პროგრამები, მხარდაჭერის მექანიზმები, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

✓ სკოლის Facebook გვერდი.
✓ სკოლის ვებგვერდი

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლას დამტკიცებული ბიუჯეტზეა ორიენტირებული სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა. სკოლის ფინანსურირესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრისშესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია(ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება– ჩაბარების აქტი ) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე, რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. სკოლის მართვის ეფექტურ ფინანსურ სისტემაზე მიუთითებს ისიც, რომ პანდემიის პირობებში ეკონომიკური შემოსავლების შემცირების მიუხედავად, სკოლას არ დასჭირვებია დამატებითი ფინანსების მოთხოვნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან. ყველა საჭირო რესურსისა და მომსახურებისთვის აუცილებელ ფინანსებს სკოლა უზრუნველყოფდა საკუთარი ბიუჯეტით; სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა იცავს საქართველოს კანონით “ზოგადი განათლების შესახებ” განსაზღვრულ მოსწავლის ძირითად უფლებებს. ამ უფლებების რეალიზებას ემსახურება, ერთი მხრივ, თავად საგანამანათლებლო დაწესებულება თავისი რეგულაციებისა და მხარდაჭერის მექანიზმით, მეორე მხრივ - თვითონ მოსწავლე და მშობლი/კანონიერი წარმომადგენლი.  მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია რეფერირების პროცედურები, გადაწტყვეტილებების გასაჩივრების საშუალებები;  სკოლას ჰყავს არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის წარმომადგენელი არის სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი, ასევე მოსწავლეებს ჰყავთ წარმომადგენელი სკოლის დისციპლინურ კომიტეტში; სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალობის და მის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებობის შემთხვევაში გასატარებელ დისციპლნიურ ღონისძიებებს. რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები.ასევე გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. გარდა ამისა, მოსწავლეთა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსი არეგულირებს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებებს. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლის დირექციის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისათვის, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშუტა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ღონისძიებების ორგანიზებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმოადგენელსა და დაწესებულებას შორის. შესაბამისად მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხელშეკრულება.

***ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

2. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია ყველა რეგულაცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. შინაგანაწესი გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი გამოკრულია საჯარო ადგილას, ამასთან, ყოველი წლის დასაწყისში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს და მშობლებს მის შინაარსს; სასკოლო საზოგადოების წევრებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ერთ-ერთ პუნქტად ჩაწერილია სკოლის შინაგანაწესის გაცნობაზე თანხმობა; მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, რეგულაციები არის გამჭვირვალე და გააზრებული სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს:

ა) დისკუსიების/დებატების მოწყობას;

ბ) საინფორმაციო ბუკლეტებით, პოსტერებით, პრეზენტაციებით მათთვის აღნიშნული ინფორმაციის გაცნობას

***ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას, როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომერს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. გარდა კანონით განსაზღვრული პუნქტებისა, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს რამდენიმე ავთენტურ პუნქტს. მაგ. სკოლა თავის სოციალურ გვერდზე მუდმივად ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა სასწავლო აქტივობის შესახებ. სოციალურ ქსელში მოსწავლეების ფოტოსურათების განთავსების შესახებ თანხმობა გაწერილია მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

***ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები)

✓ ხელშეკრულებები;

✓ შინაგანაწესი;

✓ მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი...



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხის რეგულირებისას ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. დაწესებულებას შმუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვასთან და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული წესი. აღნიშნული წესი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან.ჩარიცხვის ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კლასიდან კლასში გადაყვანის, საფეხურის დამლევის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, უცხოეთში მირებული განათლების აღიარების წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2-104.

2. დაწესებულება მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ასევე სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, ასევე ჩატარდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. დაწესებულებას მოსწავლის ჩარიცხვას და სხვა პროცედურებს ახორციელებს ზედმიწევნით ზუსტად.

*ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია*

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; დამატებითი მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ აღნიშნული ინფორმაციები დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ სხვადასხვა არხებით: აღნიშნული ინფორმაციები საჯაროდაა გამოკრული სკოლის ფოიეში პირველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას, რაც მოსწავლისა და მშობლისათვის ხელმისაწვდომია. ასევე მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლები მიაწვდიან ინფორმაციას მშობლებს არსებული სერვისებისა და პირობების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციები განთავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

*ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს, როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ასევე სოციალურ ქსელს. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად და თანაბრად წარმოაჩენს ყველა ბავშვის უფლებებსა და შესაძლებლობებს. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს. სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში, მომდევნო სასწავლო წლისთვის არსებული პროგრამების , სერვისების და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას გეგმავს გამჭვირვალეობის პრინციპით.

***ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):✓ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების აღმწერი დოკუმენტი;

✓ სკოლის სოციალური გვერდი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლას შემუშავებული აქვს გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, ეს დოკუმენტი დამტკიცებულია N2-105 ბრძანებით, რომლითაც გასაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. განსაზღვრულია დეზადაპტაციის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები. დოკუმენტში ასევე გაწერილია პირველკლასელთა ადაპტაციის მექანიზმი, რომლითაც გაწერილია ის აქტივობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ტრანზაციის პერიოდში. მე-5 მუხლი არეგულირებს სსსმ მოსწავლეების ადამპტაციას სასკოლო გარემოსთან. სკოლა ყველა მშობელს სასწავლო წლის დაწყებამდე აცნობს, თუ რა ფორმით შეუძლიათ სკოლისთვის ინფორმაციის მიწოდება ბავშვის ჯანმრთელობის, მდგომარეობის თუ სამედიცინო დიაგნოზის შესახებ, ასევე სპეციფიკური საჭიროებების შესახებ, რაც სწავლებას და ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვას უკავშირდება. მეორე მხრივ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც სკოლა ბავშვებს და მის მშობლებს სთავაზობს. სკოლის დირექცია ახორციელებს მონიტორინგს ტრანზაციის პროცესზე და ახდენს მშობელთა ინფორმირებას იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ბავშვის წინასასკოლო უნარებსა და სასკოლო ადაპტაციას.*ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია*

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; სკოლაში მოსწავლის სხვა სკოლიდან გადმოსვლის ან პირველ კლასში ჩარიცხვის დროს მოქმედებენ კანონის შესაბამისად. კლასის დამრიგებელი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრიდან;  სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები მაქსიმალურად უჭერენ მხარს მოსწავლეებს, რათა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშსკ... ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მათ შეძლონ საკუთარი იდეებისა და ხედვების რეალიზება, მაგ. სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივით სკოლას ჰყავს ,,სკოლის განმანათლებელი ჟურნალისტები“, რომლებიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან დღეებზე აკეთებენ ვიდეო რგოლებს და აცნობენ მოსწავლეებს; სკოლაში თვითმმართველობის ინიციატივით შეიქმნა მორიგეობის სისტემა, ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“ ასევე მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სპორტული შეჯიბრის „მხიარული სტარტების“ განხორციელების პროცესში; აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველდღიურად მოსწავლეები ადგენენ რეპერტუარს სკოლის რადიო კვანძისთვის.

*ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია*

3. იმისათვის, რომ განისაზღვროს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ხარისხი, სკოლა ატარებს სადიაგნოსტიკო ტესტირებებს; • დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისათვის დგება დამატებითი მეცადინეობების განრიგი, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები ატარებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დამატებით გაკვეთილებს, თუმცა ეს გაკვეთილები ხელმისაწვდომია ყველა მსურველისთვის; • საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდების ფარგლებში მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს კონსულტირებას; • სასკოლო სასწავლო გეგმას ახლავს სასკოლო კულტურის განვითარებაზე ორიენტირებული სასკოლო პროექტი, რომლის ამოცანაც სკოლაში სასკოლო საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაა, კერძოდ - სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება, სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს და სასკოლო თემს შორის თანამშრომლობითი კულტურის განვითარება და ა.შ. • სკოლის კულტურის ნაწილია წინა წლებში სასკოლო პროექტების ფარგლებში განხორციელებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა : ა) ,,თანატოლგანმანათლებლი“ -აქტივობის ფარგლებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან (გეგმავენ ინტელექტუალურ თამაშებს, პრეზენტაციებს, სპორტულ აქტივობებს, სახელოვნებო კონკურსებს.); ზ) ,,სკოლის განმანათლებელი ჟურნალისტები“ -აქტივობის ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ყველა საფეხურის მოსწავლეებისგან, მასწავლებლებისგან და ადმინისტრაციის წევრებისგან იღებენ ინტერვიუებს ისეთ თემებზე, 47 როგორებიცაა ისტორიული თარიღები - 26 მაისი, 14 აპრილი, 23 თებერვალი, 9 აპრილი და ა.შ. მოსწავლეთა მხრიდან პასუხის არ ცოდნის შემთხვევაში, თავად აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს; • ყველა სადამრიგებლო პროგრამა და კათედრის გეგმა შეიცავს არაფორმალური განათლების ელემენტებს. ეს პროცესი მხარდაჭერილი და წახალისებულია სკოლის დირექციის მიერ.

*ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია*

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; ყველა მოსწავლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი თუ ინფორმაცია გაიცემა კანონით დადგენილ ვადაში. მაგ. სკოლას ჰყავდა FLEXI-ის პროგრამაში გამარჯვებული XII კლასელი მოსწავლე, რომელიც ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა ა.შ.შ.-ში. პროგრამის დასრულების შემდეგ, სასწავლო წლის დასრულებამდე 2 კვირით ადრე იგი დაბრუნდა სკოლაში, ამ მოკლე დროში სკოლამ შეძლო საშუალო საფეხურის დასამლევად კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურის განხორციელება. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის მობილობის ვადებისა და პროცედურების გაცნობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

5. .სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი; დებატ კლუბი; ხორციელდება სასკოლო პროექტები; ბოლო ორი სასწავლო წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა 3 სასკოლო პროექტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხელშესაწყობად. • გარდა ამისა, სკოლაში არის თავისუფალი სივრცე იმისათვის, რომ მოსწავლემ თამამად შეძლოს საკუთარი აზრის დაფიქსირება როგორც კლასის დამრიგებელთან, ასევე პირადად ადმინისტრიაციის წარმომადგენლებთან; • მოსწავლეები ინიციატივით და ჩართულობით იგემება და ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. ამ პროექტების და აქტივობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის, მაგ. სკოლაში ფუნქციონირებს რადიოკვანძი, რომელიც მოსწავლეთა ინიციატივებით იმართება. ასევე მოსწავლეთა ინიციატივით სკოლა ჩაერთო პროექტ „კინო სკოლაში“. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა ჭადრაკის ტურნირი სწავლების სამივე საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით. საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა საახალწლო კარნავალი და იაპონური კულტურის დღეები; • მოსწავლეთა აზრის თავისუფლად დაფიქსირების და ეფექტიანი უკუკავშირის განხორციელებისთვის მომავალი წლიდან იგეგმება სპეციალური ყუთის განთავსება სასკოლო სივრცეში - „წერილები სკოლას“ .

6. მოსწავლეთა ხმის მიღებისა და უკუკავშირის სივრცე არის ის კოლეგიალური ორგანოები, რომლებშიც წარმოდგენილნი არიან მოსწავლეები (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო); • მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლა აძლევს საშუალებას მოსწავლეთა თვითმმართველობას წამოაყენონ და განახორციელონ ინიციატივები. მონაწილეობა მიიღონ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სხვადასხვა ორგანიზაციების ან მათ მიერ დაგეგმილ პროექტში. სკოლა ჩართულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, სადაც მოსწავლეები 48 აქტიურად მონაწილეობენ და ეს ყველაფერი ხელს უწყობს მათ მოტივაციასა და ჩართულობას. მოსწავლეთა უკუკავშირის შედეგად წინა სასწავლო წელს სკოლაში გაკეთდა ცხელი წყალი, ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს ამოქმედდა ბუფეტი.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის დოკუმენტი;

✓ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის დოკუმენტი.

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში ყველა საფეხურის მოსწავლეთა ჩართულობით განხორციელდა პროექტი ,,მე ვირჩევ პროფესიას“, რომლის ფარგლებშიც კლასებმა წარმოადგინეს მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ ინფორმაცია და გააცნეს სასკოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშ ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

საზოგადოებას. • დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს დაწესებულება მუდმივად აცნობს ინფორმაციას უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამებისა თუ აქტივობების შესახებ. სკოლა თანამშრომლობს კავკასიისა და თავრთქილაძის უნოვერსიტეტებთან, რომლებიც მასპინძლობენ სკოლის მოსწავლეებს, რათა გააცნონ მათ სამომავლო პროფესიები; სკოლას აქვს სხვადასხვა პროფესიის მშობლის მოწვევის პრაქტიკა სკოლაში საკუთარი პროფესიის ზავშვებისთვის გაცნობის მიზნით. მაგალითად, მოწვეული იყვნენ ჟურნალისტი, ექიმი, ვეტერინარი, კულინარი , მეხანძრე, პოლიციელი მშობლები; ასევე თავდაცვისა და განათლების სამინისტროების ერთობლივი საპილოტე პროგრამის ფარგლებში საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მოინახულეს ვაზიანის სამხედრო ბაზა, რამაც დიდწილად განაპირობა მათი სამომავლო პროფესიის არჩევანი.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლა ახორციელებს მოკლე ვადიან პროექტებს, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს სხვადასხვა უნარ-ჩვევას: აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას, უყალიბებს ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას, მოსწავლის გონივრულ და ფიზიკური უნარ-ჩვევების განავითარებს, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე უფლება მოვალეობების გაცნობიერებაში უწყობს ხელს.სკოლა აწარმოებს კვლევებს, მაგალითად, FORMS-ის კითხვარის გამოყენებით განახორციელა კვლევა, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეების ინტერესების განსაზღვრა და დახმარება სასურველი პროფესიის ასარჩევად. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაიგეგმა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთან. ჟურნალისტიკით დაინრესებული მოსწავლეებისათვის ორგანიზება გაუკეთდა ჟურნალსტთან შეხვედრას ტელევიზიაში;***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ჯაშიაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აღნიშნული მონაცემები განიხილება საგნობრივ კათედრებზე და იგეგმება საჭირო ინტერვენციები.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიკულუმი;
✓ სადამრიგებლო პროგრამა

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. წლის დასაწყისში სკოლა ამტკიცებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც ასახულია ის მიზნები და ამოცანები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისას. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ისგ ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, შეიმუშავებს და ხელმძღვანელობს საგნობრივი ინდ. გეგმებით. ი ი.ს.გ ჯგუფი წლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

განმავლობაში იკრიბება მინიმუმ 4-ჯერ და განიხილავს სსსმ მოსწავლის მიღწევებს. საჭიროების შემთხვევაში იკრიბება იმდენჯერ, რამდენჯერაც სსსმ მოსწავლის სწავლა-სწავლების ეფექტურად წარმართვისთვის იქნება საჭირო; სკოლას ჰყავს 23 სსსმ მოსწავლე, 3 სპეციალური მასწავლებელი და 4 სსსმ პირის ასისტენტი; სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით სსსმ მოსწავლეებთან ეფექტურად მუშაობისთვის, ასევე მთელი წლის განმავლობაში ხდება წინანსარ შედგენილი განრიგის მიხედვით სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური მეცადინეობა, აგრეთვე სკოლას ჰყავს საჭირო რაოდენობის სპეციალისტები; • სკოლაში მყოფი სსსმ მოსწავლეები მათი შესაძლებლობების, უნარების და დახმარების ხარისხის მიხედვით თანაბრად გადანაწილებული არიან სპეციალურ მასწავლებლებზე. ასევე სსსმ მოსწავლეები თანაბრად არიან გადანაწილებული პარალელურ კლასებში; • სასწავლო წლის დაწყებიდან ორ კვრაში ხდება სსსმ მოსწავლეების შეფასება როგორც საგნის მასწავლებლების, ასევე სპეციალური მასწავლებლების მხრიდან ინდივიდუალურად, დგება ი.ს.გ თითოეულ საგანში, რომლის წარდგენაც ხორციელდება ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე, სადაც სსსმ მოსწავლის მასწავლებლები და კანონიერი წარმომადგენელი იმყოფებიან; • პირველკლასელების შემთხვევაში სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მოსწავლის შეფასების გაცნობა მის მასწავლებლებთან, სპეციალურ მასწავლებელთან და სსსმ პირის ასისტენტთან, თუ იგი დანიშნული ჰყავს მულტიდისციპლინურ გუნდს.შემდეგ ხდება მშობელთან კომუნიკაცია და მოსწავლის სკოლასთან ადაპტირებისთვის საჭირო მიზნების დასახვა და განხორციელება, როგორიცაა: მოსწავლისთვის სასკოლო გარემოს გაცნობა, მასწავლებლების გაცნობა და ა.შ. სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში ხდება მოსწავლის შეფასება/დაკვირვება მასწავლევლების მხრიდან და დგება ი.ს.გ ყველა საგანში, რომლებიც განსაზღვრულია მულტიდისციპლინული გუნდის მიერ შესაბამის დასკვნაში. გეგმის შედგენაში აქტიურად მონაწილეობს სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი; • წლის ბოლოს ხდება სკოლის ინკლუზიური განათლების შეფასება შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ, რომელიც დირექტორის შესაბამისი ბრძანების მიხედვით არის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშვილი ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დამტკიცებული.(შიდა მონიტორინგის წევრები არიან სკოლის ის მასწავლებლები, რომლებიც არ ასწავლიან სსსმ მოსწავლეებს). ჯგუფის წევრები ერთი თვის ვადაში ეცნობიან ყველა დოკუნენტს, ატარებენ შეხვედრებს სასკოლო თემთან და დასკვნას წერენ, რომელიც იგზავნება განათლების სამინისტროში სწავლის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში; • ხორციელდება მუდმივი შეხვედრები მოსწავლის მშობლებთან. მოსწავლის საჭიროებებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიიღება ისგ ჯგუფისა და სკოლის ადმინისტრაციის ერთობლივი მუშაობით, მშობლის მოსაზრების გათვალისწინებით, ბავშვის ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. მასწავლებლები სწავლების პროცესში ცდილობენ იხელმძღვანელონ ინკლუზიური განათლების პრინციპებით, მაგ. საგნის მასწავლებლები ქმნიან ისეთ დავალებებს, რომელიც მორგებულია ყველა მოსწავლის შესაძლებლობაზე, სსსმ მოსწავლეებისთვის არსებობს ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, რომელთა გამრავალფეროვნება იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

2. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულებაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. სკოლაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ სასკოლო საზოგადოება ჩაერთოს და ითანამშრომლოს იმ მიზნით, რომ სსსმ მოსწავლეების ადაპტირება გარემოსთან იყოს უმტკივნეულო და წინააღმდეგობების გარეშე.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ სასკოლო სასწავლო გეგმა

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ამ ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ხალხური ცეკვის, ფრენბურთის, ფეხბურთის, გახანგრძლივებული წრეები. ასევე ფუნქციონირებს წიგნის კითხვის, ისტორიის, დებატების, სამეწარმეო და ეკო კლუბები. ასევე შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე (ნებართვა: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან) იჯარით ფუნქციონირებს ჭადრაკის წრე, ბუფეტი. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სკოლა ნებაყოფლობითობის პრინციპის გათვალისწინებით ახორციელებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას. ამის დასტურია, მშობელთა განცხადებები, რომელთა საფუძველზეც ხდება მომსახურების მიღება და ხელშეკრულებებით არსებული ყველა წრე თუ კლუბი ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

არასავალდებულო ხასიათის მომსახურების მარეგულირებელი დოკუმენტაცია

- *თხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებითი საფეხურის პროგრამა)** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.1.1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ შესაბამისი გამოცდილება საავტორიზაციოდ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

განკუთვნილ ტრენინგზე მიიღეს და შესაბამისად შექმნეს სასწავლო კურიკულუმები. ასევე მასწავლებლებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, გაკვეთილზე დამატებით გამოყენებულ რესურსებზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე კი ააგეს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და მშობლების მოთხოვნები, მოტივაცია თანხვედრაშია სასწავლო მიზნებთან; მასწავლებლებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას სკოლა ითვალისინებს წინა წლის გამოცდილებას. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე იგება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი. სასწავლო წლის ბოლოს ტარდება გამოკითხვები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, რომლის ანალიზის შედეგად ხდება მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის პრიორიტეტების განსაზღვრა და ცვლილებების ასახვა; მაგ. სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლას პრიორიტეტად განსაზღვრული აქვს არაფორმალური განათლება, პროექტებით სწავლება, წრეებისა და კლუბების მუშაობა, საგრანტო პროექტებში წარმატებული მონაწილეობა და სასწავლო რესურსების შეძენა და ა.შ, სკოლაში ისწავლება სამი უცხოური (ინგლისური-პირველი უცხოური ენა და რუსული და ფრანგული ენები- როგორც მეორე უცხოური ენა). როგორც ცნობილია, მე-5 კლასიდან სკოლას შეთავაზება აქვს მშობლებისთვის აირჩიონ მათთვის სასურველი მეორე უცხოური ენა რამდენიმე შეთავაზებულიდან. შესაბამისად, სკოლა ითვალისწინებს მშობელთა სურვილს და ინტერესს და სწავლება მეორე უცხოურ ენაში მიმდინარობს როგორც რუსულ, ასევე ფრანგული ენებში.

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში თვალსაჩინოა დადებითი კუთხით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დოკუმენტი, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია კათედრის უკლებლივ ყველა პედაგოგი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა.
**ინდიკატორი 2.1.1.3 . დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია სსგ-ისა და კურიკულუმების შესახებ. კურიკულუმი გაზიარებული აქვს ყველა მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილავენ, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს. მშობლებს წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე აცნობენ საგნობრივ კურიკულუმებს.
**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- I-VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუ
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- მშობელთა გამოკითხვის სტატისტიკური ანალიზი
- შეფასების რუბრიკები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

**სახელმწიფო ენა** - კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები მაქსიმალურად იაზრებენ მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა** - დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებს და მზად არიან სასწავლო პროცსი დაგეგმონ ამ მოთხოვნების, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ-ის ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**უცხოური ენები-** შემუშავებული კურიკულუმები სამივე უცხოურ ენაში ( ინგლისური, რუსული და ფრანგული ენები) და ინტერვიუს პროცესში დანახული სურათი სრულყოფილად წარმოაჩენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესებს. მაგალითისთვის, მე-6 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში წარმოდგენილი თემისთვის „ჩემი არდადეგები" დაგეგმილი აქტივობები კონტექტს- მაგალითის და მაგალითი შედარებისთვის სახით ნათელს სურათს ქმნის რამდენად მიზნობრივად და განვითარებისკენ მიმართულ პროცესს წარმოადგენს. დავალება მოიცავს ღია ბარათის მიწერას მეგობრისთვის არდადეგების შესახებ. შესაბამისად, დაგეგმილია როგორც ღია ბარათის სტრუქტურის სწავლება და ნიმუშის წარდგენა, ასევე თავად ღია ბარათის ისტორიის შესახებ ვიდეო კლიპის ჩვენებაც. ანალოგიურად, საინტერესო და მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობებია შეთავაზებული ფრანგული ენის სასწავლო პროგრამაში. მე-5 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი თემა „გაკვეთილების ცხრილი" ეყრდნობა არა მხოლოდ სახელმძღვანელოში არსებულ რესურსებს, არამედ მასწავლებელი გეგმავს დამატებით, ციფრული რესურსების ჩართვას თემის სწავლებისას. უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა საახალწლო თემატიკაზე დაგეგმილი კლასგარეშე ღონისძიების შესახებ ინფორმაცია, რომელის გაიმართება სამივე უცხოურ ენაზე. წარმოდგენილი მაგალითები ადასტურებს ინდიკატორის შესაბამისობას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები პროცესის დაგემვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშავებას, რომელიც გააქტიურებს მოსწავლის ფანტაზიას, გამოიწვევს მოსწავლეს და ცნობისმოყვარეობით შეეცდება პროდუქტის შექმნას. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმებში ვხვდებით საინტერესო კონტექსტ მაგალითებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალებებით სწავლების პრაქტიკაზეც, სკოლა მეოთხე წელია მუშაობს კომპლექსური დავალებებით და თვლიან, რომ სასწავლო პროცესში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვით, კერძოდ, კომპლექსური დავალებების კეთებით მოსწავლეს ეძლევა საშუალება სხვადასხვა ვარაუდები და მოსაზრებები გამოთქვას რაც სასწავლო პროცესში მათი კმაყოფილების საწინდარია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**საზოგადოებრივი მეცნიერებები-** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე შემუშავებული დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა კათედრის წევრების სამომავლო ხედვა.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ტექნოლოგიები** -სკოლის მიერ გამოგზავნილ კურიკულუმების საფუძველზე და ასევე ინტერვიუდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს გათვალისწინებული აქვთ ისეთი სწავლების პრინციპები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, საგნის სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აქტიურად გამოიყენება სხვადსხვა სახის რესურსები, აპლკაციები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეები ასრულებენ სხვადსხვა აქტივობებს, ქმნიან საბოლოო პროდუქტს (თამაში, პრეზენტაცია, პოსტერი და ა.შ) რაც მოსწავლეს აძლევს განავითაროს შემოქმედებითი, პრობლემის აღმოჩენის და მისი გადაჭრის, კრიტიკული უნარები. ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
**ესთეტიკური აღზრდა -** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი თემების და საკითხების სახით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარების გზას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა მიმართულია მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებისაკენ, მოტივაციის ამაღლებისა და თითოეული მათგანის გონებრივ განვითარებაზე ზრუნვისაკენ. შესასწავლი საგნობრივი საკითხები, აქტივობები, გაკვეთილის გეგმები, კომპლექსურ დავალებები მოსწავლეს საინტერესო, ცხოვრებისეული კონტექსტებით მიეწოდება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობის მაღალ ხარისხს. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესს წარმოაჩენს I–VI კლასების კომპლექსური დავალებების კონკრეტული ნიმუშები (დავალების პირობა, დავალების განხორციელების ნაბიჯები, შეფასების ინდიკატორები), რომლებიც დართული აქვს კურიკულუმის ჩარჩოებს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** -გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყველა მასწავლებლის მონაწილეობით, შემუშავებული იქნა კურიკულუმის ჩარჩო. მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, უნარების და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეირჩა კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები. კურიკულუმებში ყველა საჭირო რესურსი ჰიპერლინკის სახითაა მოცემული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
**ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

**სახელმწიფო ენა-** კურიკულუმის ჩარჩოები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ კოპლექსური დავალებების შერჩევას თემების შესაბამისად (რაც დაემყარება სასკოლო გამოცდილებას). წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნულის მისაღწევად სკოლას უკვე აქვს გამოცდილება შემდეგი პროდუქტების შექმნაში: წერილი ადამიანს; პერსონაჟის მონოლოგი; რეპორტაჟი; პრეზენტაცია - ლექსში ასახული რეალობა; წარმოსახვითი ინტერვიუ პერსონაჟთან; მოირგე ფოტოგრაფის როლი, გადაიღე სურათი და დაწერე ფოტოამბავი, წერილი პერსონაჟს; გააგრძელე მოთხრობა, რეპორტაჟი; გამოხმაურება; საინფორმაციო ბუკლეტი; სლაიდშოუ(პრეზენტაცია); მხატვრულ- დოკუმენტური თხზულება; პრობლემაზე ორიენტირებული ესე; ანალიტიკური ესე; პუბლიცისტური ტექსტი; საინფორმაციო ტექსტი; ტურისტული გზამკვლევი; პრეზენტაცია: „ჩემი საყვარელი ადგილი“; პერსონაჟის ხედვის კუთხის წარმოჩენა; მოიფიქრეთ და დაწერეთ მოთხრობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშვილი ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**მათემატიკა-** წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ კოპლექსური დავალებების შერჩევას თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითადა დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები** წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები სამივე უცხოურ ენაში ასახავს სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. თემები, სადაც კომპლექსური შინაარსის დავალებებია დეტალურადაა გაწერილი თითოეული სამიზნე ცნების მიმართებით როგორ მუშავდება საკითხი, რა რესურსებს და აქტივობებს გეგმავს მასწავლებელი. შესაბამისად, მოსწავლეთა შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანაშრომლობა და სხვა ყველა ფუნქციური უნარი აქტიურდება. მაგალითისთვის, მე-5 კლასში დაგეგმილი დავალება თემით ოჯახის გენეალოგიური ხის შექმნა და პრეზენტირება (ფრანგული ენა) წარმოდგენს ინდიკატორის მტკიცებულებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რიგი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშელი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შეუწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, კომუნიკაციის, შემოქმედებითობის, ხასიათის ნებელობის, მოქალაქეობის უნარ-ჩვევების განვითარებას.შესაბამისად, ვთვლი, რომ დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ რადგან ყველა კომპლექსურიდავალება მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისაღწევი შედეგებისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** -დაწყებით საფეხურზე მოცემული საგნების (მე და საზოგადოება, „ჩვენი საქართველო“) კურიკულუმები მიემართება შესაბამის სამიზნე ცნებებს: (მე და საზოგადოება - საზოგადოება, ინსტიტუცია, ზრუნვა, ცვლილება; ჩვენი საქართველო - (სივრცე, მეურნეობა, დრო, მრავალფეროვნება, სახელმწიფო, საზოგადოება). გარდა ამისა, მუშავდება გლობალური ფუნქციური უნარები: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა მოქალაქეობა, ნებელობა. სახელმწიფო). კომპლექსური დავალების პირობები მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავოს კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარები. ყოველივე ეს სიღრმისეული სწავლების პრინციპებს მიესადაგება. საგნობრივი კურიკულუმები მიმართულია მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ტექნოლოგიები** - სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლის კონტექსტ მაგალითებიდან ჩანს, რომ სასწავლო თემები (მაგალითად: მოსწავლემ დამოუკიდებლად შექმნას თამაშები, ვიდეო კოლაჟები, პრეზენტაციები და ა.შ.) მუშავდება მოსწავლეების მიერ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს მოეთხოვება პროდუქტის შექმნა, რაც მისგან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს, ხელს უწყობს მოსწავლეში მრავალმხრივი უნარების: კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების, პრობლემის გადაჭრის, ეფექტური კომუნიკაციის, დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას. რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ 6 ფუნქციურ უნარს. ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმების დიფერენცირება და ამაზე დაყრდნობით კომპლექსური დავალებების შეთავაზება, სადაც მოსწავლეს შეეძლება არჩევანის გაკეთება.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა-** კათედრის მიერ. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი სტანდარტები: სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
------------------------
------------------------

და მკვიდრი წარმოდგენები საფეხურის შედეგებთან ერთად სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად. თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული ცნები და ქვეცნებები. საგაკვეთილო თუ კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი ნაბიჯები, საკვანძო კითხვები, საეტაპო ატივობები მოითხოვს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის უნარების გამოვლენას მოსწავლეთა მხრიდან. კათედრა ჩართულია საგანთშორისო პროექტებში, რომლთა მიზნების და ამოცანები ხელს უწყობს 21-ე საუკუნუს უნარ-ჩვევების განვითარებას - კრიტიკულ აზროვნებას, პრეზენტაციის უნარს, მსჯელობა და დისკუსიის პრაქტიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი-** საგნის კურიკულუმში, ყველა თემას ახლავს კომპლექსური დავალების იდეა, სადაც თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება - ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ჯანსაღი ცხოვრების წესი არის დამუშავებული. კურიკულუმებში წარმოდგენილია ყველა თემისთვის და კომპლექსური დავალების იდეისთვის შესაფერისი ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. კომპლექსური დავალების საშუალებით, სადაც მოსწავლეა შემოქმედი და ქმნის პროდუქტს, მასწავლებელი უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. მასწავლებლებმა იციან, თუ როგორ გაიყვანონ მოსწავლეები შუალედური მიზნებით, გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

**სახელმწიფო ენა-** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის გამოცდილება, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში

იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ შეფერხება/შეზღუდვა პროგრამულ მასალასთან მიმართებით, შედეგების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებენ სარემედიაციო პროგრამას. აქვთ სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარების გამოცდილებაც, რომლითაც ადგენენ შესაბამის სამოქმედო გეგმას.
**.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა** -სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის გამოცდილება, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ ხარვეზები პროგრამულ მასალასთან მიმართებით, შედეგების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებენ სარემედიაციო პროგრამას. იფერენცირების მიზნით აქვთ სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარების გამოცდილება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაწყებით საფეხურზე საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შესთავაზებენ ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს. მოახდინენ კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას და მოსწავლეებს შესთავაზობენ კომპლექსური დავალების პროდუქტი სასურველი ფორმით წარმოაჩინონ. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, გასული სასწავლო წლის ინდ გეგმებიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესი ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია..**

**უცხოური ენები** - უცხოური ენის კათედრამ ნათლად და მკაფიოდ წარმოადგინა დიფერენცირებული სწავლების მიდგომებისთვის მზაობა. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს, როგორ ხდება დავალებების დიფერენცირება პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებთან მიმართებით. ასევე, სამივე უცხოურ ენაზე (დაწყებითი საფეხური) წარმოდგენილია ისგ გეგმები, რომელიც მომზადდა 2023-2024 სასწავლ წლისთვის. თუმცა, დაწესებულებამ წარმოადგინა SWOT ანალიზი (დანართი "სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმი") , სადაც სუსტ მხარეებში ისევ არასრულყოფილ ინკლუზიურ გარემოს მიიჩნევს. ვფიქრობ, დაწესებულებას აქვს მზაობა და აქვს რეალისტური ხედვა, რომ არსებულით არ დაკმაყოფილდეს და იზრუნოს უკეთესი პორობების შეთავაზებისთვის.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშუღა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს ,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს, სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას ისე მოახდენენ პედაგოგები, რომ სსსმ მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები იქნეს გათვალისწინებული ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და კვლავაც გეგმავენ სისტემატიურად ჩაატარონ სადიაგნოსტიკო წერები რათა მოსწავლეთა ნამუშევრების შეგორვებისა და ანალიზის საფუძველზე შეძლონ მათი ძლიერი მხარის გამოვლენა და აღწერონ დინამიკის პროცესი: სად იყო მოსწავლე და სად მივიდა კონკრეტული ინტერვენციის პროცესში. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მოსწავლისათვის შეფასება უნდა იყოს დამკვალიანებელი რათა მოსწავლემ შეძლოს გაანალიზოს როგორ გააუჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი. განსაკუთრებით საყურადღებოა სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც სკოლამ წარმოადგინა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** -მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან საზოგადოებრივ კათედრას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია ესგ-ს შესაბამისად სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ ისგ-ს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუნაძე ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ტექნოლოგიები** -სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო თემების შერჩევისას მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები, წინარე ცოდნა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ერთ-ერთ მახასიათებლად შეგვიძლია მოვიაზროთ. ინტერვიუდან და ასევე სკოლის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით; უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა და განხორციელება. სკოლის საგანმანათლებლო სივრცეში განათლების მიღება თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის და სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა**- დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაციდან ირკვევა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები,რაც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა ინტერვიუში მაგალითები, როცა მათ, მოსწავლეთა შესაძლებლობების გაითვალისწინებით შესთავაზეს დავალებებზე მუშაობისას განსხვავებული ვარიანტები, არჩევანის თავისუფლებით. აღნიშნა, რომ ამგვარი მიდგომებით შესამჩნევლად იზრდება მოსწავლეთა თავდაჯერებულობა, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა რაც შესაბამისად აისახება შესრულებულ დავალებებში. კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელსაც სკოლის სპეციალურ მასწავლებლთან ერთად შეიმუშავებენ სსსმ მოსწავლისათვის. მათში შესასწავლი თემის ფარგლებში ადაპტირებულია ცნების მკვიდრი წარმოდგენები, და დავალების საბოლოო პროდუქტი. დიფერენცირებული სწავლის აქტუალურ მნიშვნელობას ადასტურებს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა (ქართული ხელოვნება) რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი აქტივობები, მოსწავლის სამუშაო ფურცელი და შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** -სწავლა სწავლების პროცესში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და ისე დაგეგმვა, რომ დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე, დიფერენცირებული მიდგომით მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია, რომ ერთსა და იმავე საკითხზე

სხვადასხვა მოსწავლემ შესაძლოა სხვადასხვა კომპლექსური დავალება განახორციელოს. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი, სადაც გაწერილი აქვთ სკოლის ვალდებულებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ უზრუნველყონ სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დაგეგმონ სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული სხვადასხვა აქტივობა და შეაფასონ ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფიზიკური აღზრდა და სპორტისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2. 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს**

**სახელმწიფო ენა** -კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა-** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გამოიყენება მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრში და მეექვსე კლასებში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (მე-5 კლასი- თემა-მოქმედებები რიცხვებზე) პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები** -დაწყებითი საფეხურის შეფასების სისტემა მიმდინარე სასწავლო წელს მიემართება გრძლევადიან ორიენტირებს. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში ინგლისურ ენაში (მე-3) კლასი, რომელიც შედგენილია კომპლექსურ დავალებისთვის. დავალების კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. მაგალითად, ერთ-ერთი მკვიდრი წარმოდგენა სამიზნე ცნებისთვის „ტექსტი“- ითვალისწინებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნას, რაც კონკრეტული დავალებისთვის, პოსტერის შექმნა და პრეზენტირება თემისთვის „ჩემი სასაცილო მონსტრი“, SOLO ტაქსინომიის მიმართებითი დონის დაძლევისთვის რუბრიკა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „მოსწავლეს შეუძლია პოსტერზე ასახულ წარწერებში და ნასწავლ სიტყვებში ასოთშენაერთების და მსგავსი ბგერების სათანადოდ წარმოთქმა“. ანალოგიურად არის შედგენილი მეორე უცხოური ენის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსური დავალებებებისთვის (ფრანგული და რუსული ენები). რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, სამივე უცხოურ ენას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორების შესაბამისად თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგები. თუმცა, ამ ეტაპზე უცხოური ენის კათედრა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს სჭირდებათ შეადგინონ რუბრიკები შემაჯამებელი დავალებებისთვისაც, რაც ინტერვიუს დროსაც აღინიშნა მათ მიერ.

**სკოლას მიეცა რჩევა** შეიქმნას უცხოური ენის განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელის შესაბამისი (სამკომპონენტიანი შეფასება) რუბრიკები, რომელიც შესაბამისობაში იქნება საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებთან

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე, განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების

რეალიზების საშუალებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები-** საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, თუ რა ადგილი უჭირავს შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ჯერ ადგენენ მოსწავლეების წინარე ცოდნას და შემდეგ გადადიან ახალი მასალის ახსნაზე. მუშაობის პროცესში კი ისინი ზეპირი განმავითარებელი კომენტარების სახით აწვდიან მოსწავლეებს უკუკავშირს. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები იყენებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს აღნიშნეს ვერბალური, ანალიტიკური პრეზენტაციისა და სხვა რუბრიკების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ტექნოლოგიები** -სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების და ინტერვიუზე დაყრდნობითჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრების შეხვედრებისა და პედსაბჭოების დროს კოლეგები უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. შეფასების განსახორციელებლად მასწავლებლები მიმართავენ კონსტრუქტივისტულ აქტივობებს, როგორიცაა: პრეზენტაცია, დისკუსია, პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასეთი აქტივობების შემდეგ მიცემული უკუკავშირი, მოსწავლეებს აძლევს იმის შესაძლებლობას, უკეთ დაინახოს მიზნის მისაღწევად გასავლელი გზა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა** - კათედრამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, საიდანაც თვალსაჩინოა,რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხელოვნების და მუსიკის საგნებში ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტების მეთოდურ ორიენტირებს და მიმართულია გრძელვადიან მიზნებსაკენ- ცნება, ქვეცნება, მისაღწევი შედეგები. წარმოდგენილი ინსტრუმენტები შეფასების მრავალმხრივი მიდგომების შესაძლებლობას იძლევა. ამის მაგალითად მოვიყვან კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასებას,რომელშიც მასწავლებლები სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

წლის განმავლობაში, კომპლექსური დავალების განმავითარებელ რუბრიკაზე დაყრდნობით, ინიშნავენ თითოეულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხს - სამი დონის მიხედვით. კათედრის მიერ შემუშავებულია როგორც ზოგადი ხასიათის შეფასების ინდიკატორები, ასევე კონკრეტულ თემებზე, საკითხებზე და გაკვეთილებზე (მათ შორის ინტეგრირებულ გაკვეთილზე) მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებშიც შეფასების კრიტერიუმები მორგებულია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე. აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული გაკვეთილი გეგმაში კათედრამ წარმოადგინა სსმ მოსწავლითვის შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი, რომელშიც რუბრიკები ადაპტირებული სასწავლო მიზნების შესაბამისად ყალიბდება. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შემდგომ პროგრესის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განმავითარებელ კომენტარს - სოლო ტაქსონომიის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** -ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, რომელიც მიემართება სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებასთან. მათ წარმოადგინეს სხვადასხვა თემასთან მიმართებით შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მოსწავლის შეფასება არის სწავლა სწავლების განუყოფელი ნაწილი, რაც გულისხმობს სწავლა სწავლების ხარისხის მონიტორინგის გზით სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნეს, რომ ხშირად მიმართავენ მოსწავლის შეფასებას, რადგან შეფასება აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსი კონტექსტში. როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლები იყენებენ ურთიერთშეფასებას და თვითშეფასებას და წარმოდგენილი აქვთ თვითშეფასების რუბრიკაც. ასევე კურიკულუმებში ჩაშენებული აქვთ მძლეოსნობის და ტანვარჯიშის შეფასების რუბრიკები. ამრიგად, მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეფასება წარმართონ სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**სახელმწიფო ენა** -მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების, დიაგნოსტირების შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას. სკოლა 2019 წლიდან ჩართულია ახალი სკოლის მოდელში, ესწრებოდნენ დიდ სოციალურ ჯგუფებში გამოცდილი სპეციალისტების სარეკომენდაციო ჩართვებსა და აქვთ ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა** -მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების , სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას. სკოლა 2019 წლიდან ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და აქვთ ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის და უცხოური ენის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლას და კათედრას აქვს ერთობლივი ხედვა თუ როგორ გეგმავს კურიკულუმს და რამდენად გათვალისწინებული აქვს წინარე შედეგები. უცხოური ენის კათედრა იყენებს მოსწავლეთა შედეგების ანალიზს (დავალებები, ტესტები, პროექტები), გამოკითხვის ფორმებს და თვითშეფასების ანალიზს კურიკულუმის დაგეგმვისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, იგი თვლის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------- ------------------------- -------------------------

რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. ეს ფაქტი ნათლად იკითხება დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმების ჩარჩოებში იმდენად, რამდენადაც სკოლის მიერ დაგეგმილია კომპლექსური ბუნების დავალებებით უწყვეტად სწავლება. სკოლაში ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკულ გამოცდილებას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**-მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა,რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ გასული სასწავლო წლის წინარე გამოცდილებას და შედეგების ანალიზს,რის საფუძველზე შეადგინეს კურიკულუმი თითოეულ კლასში („მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“).კათედრის წევრებმა ინტერვიუში განაცხადეს, რომ ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. აკეთებენ მონიტრინგსა და შეფასებას, ხოლო შემდეგ რევიზია- გადასინჯვას. ეს ეხმარება მათ, დაადგინონ კლასების სპეციფიკა, შესაძლებლობები, საჭიროებები. მათი გათვალისწინებით გაგრძელდება კურიკულუმზე მუშაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ტექნოლოგიები** - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას, მოსწავლეთა საჭიროებებს. ყველა მომდევნო აქტივობა იგეგმება წინარე ცოდნის გათვალისწინებით, მოსწავლეთა შესაძლებლობების დასადგენად მუდმივად ხდება კოლეგებს შორის თანამშრომლობა, ურთიერთდასწრება, პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება, იღებენ უკუკავშირს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესტეტიკური აღზრდა**-კათედრას აქვს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის განხორციელების გამოცდილება. წარმოდგენილი კათედრის ოქმებიდან და აგრეთვე მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ მასწავლებლებმა განიხილეს გასული სასწავლო წელს განხორციელებული სასწავლო პროცესი: განხორციელებული საგნობრივი საკითხები,

შესრულებული კომპლექსური დავალების შედეგები და ისე დაგეგმეს მიმდინარე წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი. წინარე გამოცდილების ანალიზისთვის კათედრა იყენებს სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის გაკვეთილზე დაკვირვებას, განხორციელებული საკლასო აქტივობების და შემაჯამებელი დავალების ანალიზს. მიმდინარე სასწავლო წელს ესთეტიკური აღზრდის საგანებში იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება, რაც მეტად დაეხმარება მასწავლებლებს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიკაციაში, სტანდარტის მიზნებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი-** გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას დიდ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წინარე პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელსაც კათედრის შეხვედრების დროს ერთმანეთს უზიარებენ და შემდეგ ასახავენ კურიკულუმებში. კათედრის შეხვედრებზე მასწავლებლები შეთანხმდებიან რა გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლისათვის, აღწერენ რესურსებს და აქტივობებს, რომლებმაც სწავლის პროცესში ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობას, წინსვლას და სამიზნე ცოდნის გააზრებულად აგებას. სწავლა სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- I-VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუ პედაგოგებთან
- სასკოლო და სასწავლო აქტივობები
- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშელი ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი)
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა, ქართული/ხელოვნება;
- კომპლექსური დავალება (თემა შთაბეჭდილებები და ემოციები 4კლ.) მატრიცა, მოსწავლეთა შესრულებული დავალების ფოტოები.
- კომპლექსური დავალება (თემა მე შემომქმედი 4კლ); მოსწავლეთა დავალებაზე მუშაობის ამსახველი ფოტოები;
- დანართი 97 - მასწავლებლის პორტფოლიო: პროექტი ,,გავუფრთხილდეთ დედამიწას“.
- დანართი 97 - მასწავლებლის პორდფოლიო-ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა, ქართული/ხელოვნება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**ინდიკატორი 2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა **მათემატიკის** საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. **უცხოური ენის კათედრის** მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით, კათედრის მიერ წარმოდგენილი განსახორციელებელი დამატებითი აქტივობების და პროექტების ჩამონათვალსა და ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეები აქტიურ შემოქმედებით პროცესებში არიან ჩართული. გარდა დაგეგმილი კომპლექსური დავალებებისა, დაწყებით საფეხურზე კათედრა გეგმავს რამდენიმე საინტერესო აქტივობას (ივნისის თვეში), ესენია ვიქტორინები და თამაშები (სამივე უცხოურ ენაზე), რაც ადასტურებს ინდიკატორის შესაბამისობას. **ტექნოლოგიებში** წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეებს სთვაზობს მრავალფეროვან კომპლექსურ საკითხებს, მოცემული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს სხვადსხვა შემოქმედებით პროცესში. საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების

გააქტიურებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს კლუბები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში მათი ინტერესების გათვალისწინებით. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია დაგეგმილი, რაც მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს. მოსწავლეებისთვის დაიგეგმა დავალებები, რომელიც არც იმდენად მარტივია, რომ მის მიმართ მოსწავლეს ინტერესი არ გაუჩნდეს და არც იმდენად რთული, რომ მათ მიმართ მოსწავლის დემოტივირება გამოიწვიოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული კლუბი „ლელო“, რომელიც ემსახურება მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და რომლის მიზანია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პოპულარიზაცია მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის და ინტელექტუალური, კულტურული, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ჭადრაკის, ფეხბურთის და ფრენბურთის წრეები. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ წლის განმავლობაში ჩასატარებელი სასკოლო სპორტული ფესტივალები: მძლეოსნობის, მხიარული სტარტების და ფეხბურთის. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას, მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ უბიძგებს.

**ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების განხორციელების შესაძლებლობა. სკოლის მიერ მიერ შემუშავებული საგნის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა სრულად იძლევა საშუალებას მოსწავლემ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგონრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სტანდარტთან. კურიკულუმში წარმოდგენილი თემები მოსწავლისთვის ნაცნობი და საინტერესო კონტექსტებია, მაგ: ინგლისური ენის I და II კლასებში თემების არეალი სასკოლო და ყოველდღიურ ნივთებსა და რუტინას ეხება, კომპლექსურ დავალებებში მოცემული კონტექქტ-მაგალითებში კი იგივე თემაზე ნაცნობი სიტუაციური რესურსია წარმოდგენილი. ასევე პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე, ნაცნობია (მაგ: გამოძერწვა, დახატვა, გაფერადება, კროსვორდის შევსება და აშ). წარმოდგენილი ქვესაკითხებიც ითვალისწინებს ნაცნობიდან უცნობისკენ ცოდნის აგების პროცესს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რაც გამოიხატება იმით, რომ კურიკულუმში გაწერილი აქვთ მოსწავლისთვის ნაცნობ ცხოვრებისეულ თემაზე დამყარებული კონტექსტ მაგალითები. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

**ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

მასწავლებლები აცხადებენ, რომ მოსწავლეებისთვის მეტაკოგნიტური უნარების განვითარება აუცილებელია, რათა ჰქონდეთ მუდმივი მზაობა სიახლეების მისაღებად და იყონ კონკურენტუნარიანი მოქალაქეები. ისინი ორიენტირებული არიან იმაზე, რომ მოსწავლეებმა თვითრეგულირებითა და ავტონომიურობით მეტი შეძლონ.საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მოსწავლეებისათვის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რომლებიც მნიშვნელოვან დამხმარე ინსტრუმენტს წარმოადგენს აღნიშნული პროცესის განხორციელებისას; ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არაფორმალური განათლების სეგმენტსაც, როგორებიცაა პროექტებით სწავლება, სკოლაში არსებული კლუბები და წრეები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაგურია ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლას). მოწოდებული დოკუმენტაციით და გასაუბრებით გაირკვა, რომ სწავლა გულისხმობს მნიშვნელობის წვდომას. მასწავლებლები ისე წარმართავენ სასწავლო აქტივობებს, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები კარგად გაიაზრონ. წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს და მეტაკოგნტური უნარების განვითარებას.

**ესთეტიკური აღზრდა - სკოლას მიეცა რჩევა** მეტაგოკნიციური უნარების განვითარების მიზნით კათედრამ შეიმუშავოს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს გაანალიზოს დავალების შესრულების ეტაპები.

**ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

დაწყებითის კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებება კი ცოდნის სამ კატეგორაზეა ორიენტირებული. კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, სადაც ის ავლენს საკუთარ ცოდნას, შემოქმედებითობას. ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რამდენად მკაფიოდ აქვთ მასწავლებლებს გათავისებული არა მხოლოდ დეკლარაციული და პროცედურული ცოდნისკენ მიმართული აქტივობები, არამედ პირობისეული ცოდნის მნიშვნელობა თითოეული თემის ირგვლივ. აღსანიშნავია, რომ უცხოური ენის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები შეიცავს მრავალფეროვან აქტივობებს ორიენტირებულს სამივე ცოდნის კატეგორიაზე და იმ თემებში, სადაც არაა კომპლექსური დავალებები მოაზრებული, მაინც ითვალისწინებს ცოდნის მოქმედებაში გადატანას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

(მაგ: ინსტრუქცია II კლასის სახელმძღვანელოდან, Unit 1: მიმოიხიედე საკლასო ოთახში და დაასახელე ნასწავლი ფიგურების ფორმის ნივთები).კომპლექსური ტიპის დავალებების შესრულება მოითხოვს ფაქტობრივ ცოდნას, რასაც მასწავლებლები უზრუნველყოფენ კურიკულუმში ჩაშენებული მრავალფეროვანი რესურსით, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გააზრებას და ადეკვატურად გამოყენებას კონკრეტულ მოცემულობაში და სხვადასხვა კონტექსტში.
**ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში უზრულველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ტარდებოდა და მომავალშიც აქვთ მზაობა და გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას. (მათემატიკა-ისტი, მათემატიკა-მუსიკა, მათემატიკა-უცხო ენა). მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. მასწავლებლები გეგმავენ უფრო ინტენსიურად იმუშაონ საგანთა შორის კავშირზე და წინასწარ შეათანხმონ ისეთი საკითხები, რომლებიც უფრო მეტად უკავშირდება ერთმანეთს, რათა შემდეგში განახორციელონ ინტეგრირებული გაკვეთილები.
**ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშვილი ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- პროექტი ,,დაიცავით დედამიწა“
- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სპორტული კლუბი „ლელოს“ წესდება; ჭადრაკის, ფრენბურთის, ფეხბურთის წრის პროგრამები

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და

მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას და განზოგადებას. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ ყველა თემაში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება მისი მკვიდრი წარმოდგენებით. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული კავშირები სამიზნე ცნებებსა და თემებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის. ამ მხრივ საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას მხოლოდ საკითხთა კლასტერების დაჯგუფების ასპექტში, თუმცა, წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში სამიზნე ცნებები მუშავდება საგნობრივ საკითხებზე, კონკრეტულ თემაზე დაყრდნობით. შესაბამისად, უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩენა. კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

**ესთეტიკური აღზრდა**- სკოლას მიეცა რჩევა მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილი ქვეცნებები დაკონკრეტდეს თითოეულ საკითხთან მიმართებაში, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.

**ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციურ განვითარებას, რაც დასტურდება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი საკითხებით, კომპლექსური დავალებებით, აქტივობებითა და რესურსებით. კურიკულუმებში ასახული საგნობრივი კონტექსტები ეყრდნობა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, რაც ხელს უწყობს თითოეული ბავშვის ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში, თავისი ინტერესებისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი დაკვირვებით მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარ-თვისებების ჩამოყალიბებას მოსწავლეებში, განსაკუთრებით უწყობს ხელს სხვადასხვა სასწავლო თუ სოციალური პროექტები, არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა

სახის აქტივობები. საგნობრივ ურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინგლისურ ენის VI კლასში წარმოდგენილ თემების მაგალითებია: არდადეგები, სკოლა, დღესასწაულები, საინტერესო ისტორიები და აშ. სამომავლოდ იგეგმება, კურიკულუმებში გაწერონ თემის შესწავლისას რომელი მაკროცნებები დამუშავდება.
**ინდიკატორი2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

სკოლას აქვს მზობა, რომ შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზეც და გაითვალისწინონ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალური ყველა გარემოება. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა, ასევე ინტერვიუმ აჩვენა, რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. კათედრებმა წარმოადგინეს ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მათმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, დასტურდება ანგარიშით, კათედრის ოქმებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
**ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

დაწყებით საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

იცნობენ მშობლები, მოსწავლეები, საგნის მასწავლებლები და ადმინისტრაცია. ინტერივუს დროს გამოჩნდა, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, შეფასების რუბრიკები, კურიკულუმები, დაგეგმილი სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
**ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას ახალი სასწავლო წლისთვის შემუშევებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც განახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულების მიმართულებით. ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვას და წარმართვას სკოლაში უზრუნველყოფს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც კათედრის ხელმძღვანელებთან კონსულტაციის გზით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. დოკუმენტი ადგენს მოსწავლის შეფასების პრინციპებს,რომელიც ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას, აყალიბებს ამ პრინციპების კრიტერიუმებს.სკოლის ვერიფიკაციის მნიშვნელოვანი პუნქტები ეხება შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობას სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების გაანალიზებას და ღონისძიებების დაგეგმვას შედეგების გასაუმჯობლესებლად.ვერიფიკაციის დასკვნის საფუძველზე პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას რომელშიც ასახული იქნება გამოვლენილი პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრის გზები ასევე განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. რადგან ვერიფიკაცია რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზია, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ამ მექანიზმს სკოლა იყენებს. მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლისათვის ვერიფიკაციის მექანიზმების კიდევ უფრო დახვეწას და სასწავლო პროცესში აქტიურად დანერგვას.
**ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.2.2. 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, სკოლის არქივი ინახავს ყველა მონაცემს. მასალები სკოლას აქვს დაარქივებული ჟურნალების სახით. ასევე დაარქივებულია ელ. ჟურნალების სახით. აქედან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.
**ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- შეფასების რუბრიკა-განმავითარებელი, განმსაზღვრელი
- დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუშიიკვეთეაბა, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სასწავლო გეგმაში, სკოლის მისიასა და ღირებულებებში ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისათვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოთ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით, საერთო ძალისხმევით განხორციელებულ პროექტული, კლუბური და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების წარმართვით.
**ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.**
**ინდიკატორი 2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევეე მასწავლებლებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე წარიმართება მოსწავლისთვის პოზიტიურ გარემოში. მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმებში, სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები სრულად შეესაბამება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, აღძრავს ცნობიმოყვარეობას და ინტერესს. შეთავაზებული საინტერესო და მრავალფეროვანი სასკოლო ცხოვრება კი-სასკოლო პროექტები, სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებები, შემეცნებითი -ინტელექტუალური და სპორტული თამაშები და სხვ. დიდ როლს ასრულებს მათი, როგორც თავისუფალი, ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებაში.
**ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან საუბარი შეიძლება მივიჩნიოთ იმის დასტურად, რომ სკოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას. ამის მაგალითს წარმოადგენს სკოლაში გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, სწავლა-სწავლების პროცესში აქტუალური საკითხების განხილვა, როგორებიცაა: ტექნოლოგიების გამოყენება, სწავლების თანამედროვე მიდგომების ანალიზი, საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება ,,კრიტიკული მეგობრის" არსებობა თანდართული რეფლექსიებით და გაცემული უკუკავშირებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა წარმოადგენს ერთიან გუნდს, რომელსაც აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება.
**ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესების შესაბამისად. მასწავლებლები, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, სკოლის ტექნიკური პერსონალი, მოსწავლეები, მშობლები, დირექცია აქტიურად არიან ჩართულები სკოლაში პოზიტიური გარემოსა და ჯანსაღი კომუნიკაციის შექმნის პროცესში. სკოლას გააჩნია სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები-პროექტორები, პერსონალური და პორტატული კომპიუტერები. სკოლაში ფუნქციონერებს რესურს-ოთახი, რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლა პოზიტიური სასკოლი ცხოვრების შესაქმნელად თავის მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს-საკლუბო, სპორტული, შემოქმედებითი-სახელოვნებო წრეებში გაწევრიანებას, სკოლის თვითმართველობაში ჩართვას, მასწავლებლებთან ინტერვიუ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობასა და სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები
- ექსკურსია ,,მარტყოფის ღვთაების მონასტერში“
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება, რაც შეეხება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიით შეფასებას, სკოლა აღნიშნავს, რომ მიმდინარე სასწავლო წლიდან მოხდება ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად მუშაობა შეფასებასა და მონიტორინგზე. მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა აქტიურად მიმდინარეობს, ასევე მასწავლებელთა სწავლების ხარისხზე დაკვირვება და ამ ხარისხის გამოუჯობესების რეკომენდაციების გაცემა, ტრენინგებში ჩართვა და საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა
**ინდიკატორი 2.3.1.1.დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სასწავლო პროცესის შეფასება მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით მიმდინარეობს (კომპლექსური დავალებები, პრეზენტაციები, საკლასო და საშინაო დავალებები, ჯგუფური, ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი ცნებებისა და სამიზნე ცნებების, კოგნიტური უნარების განვითარების სქემები) და ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
**ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორი 2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**
მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით კლასებში 2023-2024 ს/წელს აპირებენ გააუმჯობესონ და პრაქტიკაში დანერგონ სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის მიხედვითაც მოხდება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებების დადგენა. გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროება, ხოლო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით.
**ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**.2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუცა ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.3.2.1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა შეფასებისას იყენებს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში ბუნებისმეტყველების მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

**ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

დაწყებითი სწავლების კათედრაზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა იგი არ აძლევს შესაძლებლობას მასწავლებლებს სრულად გაითვალისწინოს და გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ განახლებული შეფასების რუბრიკები რომლებიც მიემართება კონკრეტული სამიზნე ცნებების შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების შეფასების კრიტერიუმებად და შეფასების მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით ხორციელდება.

**ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ პედაგოგიური კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.
**ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. სკოლისთვის გამოწვევაა გამოვლინდეს სხვადასხვა ჭრილში მოსწავლის ინტელექტი, მეტად ჩაუღრმავდეს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას და გათვალისწინებული იქნეს შეფასების პროცესში, ამიტომ, ცდილობენ გააუმჯობესონ ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე.
**ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები
- კვლევის ანკეტები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კათედრაზე იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რამეთუ მიმდინარე კურიკულუმით მუშაობამ გამოკვეთა, რა იყო მასწავლებლების მუშაობისას მათი წარმატებებისა და წინააღმდეგობების წარმოქმნის მიზეზები. კურიკულკუმის განვითარების და მხარდაჭერის პაკეტი იქნება იმ შეთავაზებებითა და რეკომენდაციებით, რაც გასათვალისწინებელი იქნება მომდევნო სასწავლო წელს.  კერძოდ: სხვადასხვა რესურსები, აქტივობები თუ მეთოდები. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება, მასწავლებლებმა SWOT ანალიზით შეაჯამონ თავიანთი მუშაობა და შეიმუშაონ სარეკომენდაციო პაკეტი, შეძლონ კურიკულუმის გადამუშავება.

**ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის  პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები გეგმავენ ყოველწლირად განიხილონ სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავონ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია.მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს თუფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ, მისი დახვეწა-განვითარება მოხდება წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით.  ახალი კურიკულუმის საბოლოო გაწერისას გაითვალისწინებენ ყველა იმ პრობლემას რომელიც განვლილ სასწავლო წელს მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ იმუშავებენ პრობლემის დაძლევის გზებზე. ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაშია.

**ინდიკატორი  2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუცი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო საფეხურის პროგრამა)** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.1.1.1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ შესაბამისი გამოცდილება საავტორიზაციოდ განკუთვნილ ტრენინგზე მიიღეს და შესაბამისად შექმნეს სასწავლო კურიკულუმები. ასევე მასწავლებლებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, გაკვეთილზე დამატებით გამოყენებულ რესურსებზე. სასწავლო წლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე კი ააგეს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. ინტერვიუს დროს გამოვლინდა და მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილმა შეხვედრებმა კათედრის წევრებთან და მშობლებთან. მასწავლებლები აანალიზებენ შეხვედრებზე გამოვლენილ საჭიროებებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. გარდა ამისა, კურიკულუმზე მუშაობის პროცესში მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ წინა წლის გამოცდილებას. წინამდებარე ინფორმაციის შეგროვებისა და შეჯერების შემდგომ კი გეგმავენ კომპლექსური ბუნების დავალებებსა და აქტივობებს. წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები მოსწავლეთა ინტერესების და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რომლებშიც გაწერილია საინტერესო, არსებულ რეალობასა და მოსწავლეთა საჭიროებაზე გათვლილი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეთა შედეგებს გააუმჯობესებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში თვალსაჩინოა დადებითი კუთხით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კათედრის უკლებლივ ყველა პედაგოგი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა.

**ინდიკატორი 2.1.1.3 . დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სპეციალური კითხვარი მშობლებისთვის.

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (**მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუ
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა გამოკითხვის სტატისტიკური ანალიზი
- შეფასების რუბრიკები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2.2.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.2.1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

**სახელმწიფო ენა** წარმოდგენილი კურიკულუმი საბაზო საფეხურზე იძლევა მოსწავლეზე ორიენტირების საშუალებას.საინტერესო სასწავლო ერთეულები, რესურსები, დავალებები არის სწავლის პროცესზე და მოსწავლის შინაგანი მოტივაციაზე მიმართული. სკოლას აქვს გამოცდილება განახორციელოს სხვადასხვა სახის პროექტი და კომპლექსური დავალება: წერილი ადამიანს ,,პერსონაჟის მონოლოგი, რეპორტაჟი, პრეზენტაცია-ლექსში ასახული რეალობა, წარმოსახვითი ინტერვიუ პერსონაჟთან, მოირგე ფოტოგრაფის როლი, გადაიღე სურათი და დაწერე ფოტოამბავი, წერილი პერსონაჟს, გააგრძელე მოთხრობა, რეპორტაჟი, გამოხმაურება, საინფორმაციო ბუკლეტი, სლაიდშოუ (პრეზენტაცია), მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება, პრობლემაზე ორიენტირებული ესე, ანალიტიკური ესე, პუბლიცისტური ტექსტი, საინფორმაციო ტექსტი, ტურისტული გზამკვლევი, პრეზენტაცია: ,,ჩემი საყვარელი ადგილი", პერსონაჟის ხედვის კუთხის წარმოჩენა, მოიფიქრეთ და დაწერეთ მოთხრობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**მათემატიკა** საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებს და მზად არი სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ მოთხოვნების, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ-ის ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, ის ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** წარმოდგენილი კურიკულუმი საბაზო საფეხურზე იძლევა მოსწავლეზე ორიენტირების საშუალებას.საინტერესო თემები, რესურსები, დავალებები არის სწავლის პროცესზე და მოსწავლის შინაგანი მოტივაციაზე მიმართული. ასევე, დაგეგმილი დამატებითი აქტივობები, პრეზენტაციები და ღონიძიებები, ინგლისური და რუსულ ენებში მე-8 კლასში სასკოლო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით მოწყობილი პრეზენტაციები " არა ბულინგს!", ნათელი მაგალითია რომ სასწავლო პროცესში ცოდნა, უნარები და ღირებულებები ერთობლივადაა აღქმული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -სკოლის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კომპლექსური დავალებებით მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. თავდაპირველად კურიკულუმების ჩარჩოებში არ იყო შევსებული ყველა ველი, თუმცა ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებმა აღნისნეს, რომ მათ აქვთ კურიკულუმების განახლებული და დამტკიცებული ვერსიები და მეორე დღესვე მოგვაწოდეს სადაც ერთადერთ დანაკლისად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მაგალითად, ქიმიის მერვე კლასის კურიკულუმსი საკითხთა კლასტერის ნაცვლად პარაგრაფებია გამოტანილი და უმჯობესია თუ გამოიყოფა საკითხთა კლასტერები. კურიკულუმებზე მუშაობა ამ ეტაპზეც მიმდინარეობს და ვინაიდან სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელის პროექტში, მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობაც, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კომპლექსური დავალებების დამუშავება (მაგ. ასაკობრივი ზღვარის შესაბამისი სახალისო დისკუსიები, თამაშის ელემენტები და სხვ.), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს. ამრიგად, ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები-** შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას.კურიულუმის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.დაფარულია ყველა თემა შესაბამისი ქვესაკითხებით.კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად, რაც დაეხმარება მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებით ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა** -საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი თემების და საკითხების სახით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარების გზას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა მიმართულია მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებისაკენ, მოტივაციის ამაღლებისა და თითოეული მათგანის გონებრივ განვითარებაზე ზრუნვისაკენ. შესასწავლი საგნობრივი საკითხები, აქტივობები, გაკვეთილის გეგმები, კომპლექსურ დავალებები მოსწავლეს საინტერესო, ცხოვრებისეული კონტექსტებით მიეწოდება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობის მაღალ ხარისხს.მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესს წარმოაჩენს VII-IXკლასების კომპლექსური დავალებების კონკრეტული ნიმუშები(დავალების პირობა, დავალების განხორციელების ნაბიჯები, შეფასების ინდიკატორები), რომლებიც დართული აქვს კურიკულუმის ჩარჩოებს
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** -გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყველა მასწავლებლის მონაწილეობით, შემუშავებული იქნა კურიკულუმის ჩარჩო. მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, უნარების და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შესაძლებლობების გათვალისწინებით შეირჩა კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები. კურიკულუმებში ყველა საჭირო რესურსი ჰიპერლინკის სახითაა მოცემული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

**სახელმწიფო ენა-** კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით, თითოეულ თემაში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები, რომელთა სიღრმისეულ წვდომას და მკვიდრ წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე ორიენტირდებას ახდენს კომპლექსური დავალებები
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა-** საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კათედრის მიერ, მიზნის მისაღწევად შერჩეული კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები იძლევა საშუალებას მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და მოხდეს სამიზნე ცნებების, ფუნქციური უნარების (თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება) და მაკროცნების (კვლევა) განვითარება. განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის პიროვნული განვითარებაზე ზრუნვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია უცხოურ ენაში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. თითოეულ თემაში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები, რომელთა სიღრმისეულ წვდომას და მკვიდრ წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე ორიენტირდებას ახდენს კომპლექსური დავალებები. მიმდინარე სასწავლო წელს უცხოური ენის კათედრას დაგეგმილი აქვს თითოეულ კლასში ორი კომპლექსური დავალების განხორციელება, რაც როგორც თავად მასწავლებლებმა აღნიშნეს, განპირობებული იყო მშობელთა სურვილით და სხვა საგნების სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. იმ თემებში კი, სადაც კომპლექსური შინაარსის დავალებები არაა წარმოდგენილი, თუ როგორ მოხდება გრძელვადიან მიზნებზე მიმართება, კათედრამ მოიშველია თავად სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი შინაარსობრივი/პროექტული ტიპის აქტივობები, რომლებიც ნამდვილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირებას. (მაგ: პროექტი, სხვადასხვა აქტივობები, კლუბები) . ამ მიმართულებით სკოლას აქვს კიდეც გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური აქტივობები და კლუბური მუშაობა. კერძოდ, საბუნებისმეტყველო საგნების მიართულებით სკოლასი ფუნქციონირებს ეკოკლუბი, სამეწარმეო კლუბი „მარჯვე ხელები“ და ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლების მიერ დაარსებული ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი „ნორჩი მკვლევარები“. ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მოცემული საგნების (გეოგრაფია,ისტორია,მოქალაქეობა) კურიკულუმები მიემართება შესაბამის სამიზნე ცნებებს: გეოგრაფია (გეოგრაფიული გარსი,გეოგრაფიული მოვლენა,გეოგრაფიული პროცესი,მოსახლეობა და მეურნეობა); ისტორია (სივრცე, დრო,ისტორიული წყარო, ძალაუფლება, საზოგადოება,ისტორიული მოვლენა,ისტორიული პროცესი) ; მოქალაქეობა (საზოგადოება,დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება) გარდა ამისა, მუშავდება გლობალური ფუნქციური უნარები: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა . კომპლექსური დავალების პირობები მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავოს კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარები. ყოველივე ეს სიღრმისეული სწავლების პრინციპებს მიესადაგება. საგნობრივი კურიკულუმები მიმართულია მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ესთეტიკური აღზრდა-** -კათედრის მიერ საბაზო საფეხურის კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი სტანდარტები: სამიზნე ცნებები,მასთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები საფეხურის შედეგებთან ერთად სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად. თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული ცნები და ქვეცნებები. საგაკვეთილო თუ კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი ნაბიჯები, საკვანძო კითხვები,საეტაპო ატივობები მოითხოვს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის უნარების გამოვლენას მოსწავლეთა მხრიდან. კათედრა ჩართულია საგანთშორისო პროექტებში, რომლთა მიზნების და ამოცანები ხელს უწყობს 21-ე საუკუნეუს უნარ-ჩვევების განვითარებას - კრიტიკულ აზროვნებას, პრეზენტაციის უნარს, მსჯელობა და დისკუსიის პრაქტიკას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი-** საგნის კურიკულუმში, ყველა თემას ახლავს კომპლექსური დავალების იდეა, სადაც თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება - ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ჯანსაღი ცხოვრების წესი არის დამუშავებული. კურიკულუმებში წარმოდგენილია ყველა თემისთვის და კომპლექსური დავალების იდეისთვის შესაფერისი ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. კომპლექსური დავალების საშუალებით, სადაც მოსწავლეა შემოქმედი და ქმნის პროდუქტს, მასწავლებელი უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. მასწავლებლებმა იციან, თუ როგორ გაიყვანონ მოსწავლეები შუალედური მიზნებით, გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
**ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2. 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

**სახელმწიფო ენა** -ვიზიტის ფარგლებში სხვა მრავალ განახლებულ დოკუმენტაციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ისგ და ინტერვიუს დროს დააფიქსირეს ინკლუზიის მიმართ თავიანთი სწორი დამოკიდებულება კათედრის წევრებმა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
**.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა -** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის გამოცდილება, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. საგნობრივ პროგრამებში შეტანილი კომპლექსური დავალებები მოიცავს დიფერენცირების ელემენტებს. კომპლექსური დავალების პირობა ისეაა ფორმულირებული, რომ სხვადასხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტა ---
---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეს შეუძლია იპოვოს მასზე მორგებული დავალების შესრულების თუ წარდგენის ფორმა; თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვერსიები, რომლებიც შეტანილია ისგ-ში; მასწავლებლები სპეციალურ მასწავლებლებთან ერთად ახდენენ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას და დიფერენცირება შეიძლება შეეხოს პირობას, აქტივობებს, პროდუქტს ან თუნდაც გარემოს; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** ვიზიტის ფარგლებში სხვა მრავალ განახლებულ დოკუმენტაციასთან ერთად უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურზე გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (VII, VIII კლასები) როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოურ ენაში. მოდიფიცირებილ კომპლექსურ დავალებებში ნათლად ჩანს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომა და სასწავლო პროცესის მოქნილობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-**სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. საბუნებისმეყველო საგნების მასწავლელები მუშაობენ მოსწავლეებთან, რომელთაც აქვთ სხვადასხვა უნარები, ცოდნა და შესაძლებლობები. ასევე აქვთ გამოცდილება ინდივიდიალური სასწავლო გეგმის შექმნისა. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს, კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. აქედან გამომდინარე, ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საბაზო საფეხურის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია ესგ-ს შესაბამისად სასკოლო საზოგადოების მიერ.სასკოლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. - საბაზო საფეხურზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშ ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ ისგ-ს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა**- ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ მოწოდებული საბაზო საფეხურის დოკუმენტაციდან ირკვევა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები,რაც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა ინტერვიუში მოიყვანეს მაგალითები როცა მათ, მოსწავლეთა შესაძლებლობების გაითვალისწინებით შესთავაზეს დავალებებზე მუშაობისას განსხვავებული ვარიანტები, არჩევანის თავისუფლებით. აღნიშნა, რომ ამგვარი მიდგომებით შესამჩნევლად იზრდება მოსწავლეთა თავდაჯერებულობა, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რაც შესაბამისად აისახება შესრულებულ დავალებებში. კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელსაც სკოლის სპეციალურ მასწავლებლთან ერთად შეიმუშავებენ სსსმ მოსწავლისათვის. მათში შესასწავლი თემის ფარგლებში ადაპტირებულია ცნების მკვიდრი წარმოდგენები და დავალების საბოლოო პროდუქტი.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი-** სწავლა სწავლების პროცესში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და ისე დაგეგმვა, რომ დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე, დიფერენცირებული მიდგომით მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია, რომ ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მოსწავლემ შესაძლოა სხვადასხვა კომპლექსური დავალება განახორციელოს. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი, სადაც გაწერილი აქვთ სკოლის ვალდებულებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ უზრუნველყონ სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დაგეგმონ სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული სხვადასხვა აქტივობა და შეაფასონ ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფიზიკური აღზრდა და სპორტისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
**ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ**

**ორიენტირებს**

**სახელმწიფო ენა** -კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომლებიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს და გათვლილია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა-** წარმოდგენილ მასალებში მოცემულია თემის ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის რამდენიმე ნიმუში, სადაც მოცემული კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს და საშუალებას იძლევა შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** ვიზიტის ფარგლებში უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა განახლებული შეფასების რუბრიკები სამივე უცხოურ ენაში, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება კომპლექსური დავალების მიმართებით სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე. რუბრიკა ორენტირებულია Solo ტაქსონომიის მიმართებითი დონის დაძლევას. რაც შეეხება განმსაზღვრელ, შეფასებას, კათედრა ითვალისწინებს თემის ფარგლებში საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებთან შესაბამისობას, თუმცა შეფასებ პირველი მოდელის შემთხვევაში საჭიროებს უფრო მეტ კონკრეტიზაციას, რაც თავადაც აღნიშნეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს
**სკოლას მიეცა რჩევა** შეიქმნას უცხოური ენის განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელის შესაბამისი (სამკომპონენტიანი შეფასება) რუბრიკები, რომელიც შესაბამისობაში იქნება საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებთან.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -კათედრის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საბაზო საფეხურზეც დაგეგმილია ისეთი პროცესი, სადაც სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლის შემუშავებაც ხშირად მათი ჩართულობით ხდება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების სქემები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტა ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მაგალითად: დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, პროექტის, ლაბორატორიული სამუშაოს და სხვ. განმავითარებელი შეფასებისთვის გამოყენებულია კომენტარი/უკუკავშირის ზეპირი და წერილობითი ფორმა, დაკვირვება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად, შედეგების გაუმჯობესების გზად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები-** საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, თუ რა ადგილი უჭირავს შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ჯერ ადგენენ მოსწავლეების წინარე ცოდნას და შემდეგ გადადიან ახალი მასალის ახსნაზე. მუშაობის პროცესში კი ისინი ზეპირი განმავითარებელი კომენტარების სახით აწვდიან მოსწავლეებს უკუკავშირს. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები იყენებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს აღნიშნეს ვერბალური, ანალიტიკური, დისკუსიის, პრეზენტაციისა და სხვა რუბრიკების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა-** ესთეტიკური აღზრდის კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, საიდანაც თვალსაჩინოა,რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხელოვნების და მუსიკის საგნებში ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტების მეთოდურ ორიენტირებს და მიმართულია გრძელვადიან მიზნებსაკენ- ცნება, ქვეცნება, მისაღწევი შედეგები. წარმოდგენილი ინსტრუმენტები შეფასების მრავალმხრივი მიდგომების შესაძლებლობას იძლევა. ამის მაგალითად მოვიყვან კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასებას, რომელშიც მასწავლებლები სასწავლო წლის განმავლობაში, კომპლექსური დავალების განმავითარებელ რუბრიკაზე დაყრდნობით, ინიშნავენ თითოეულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხს- სამი დონის მიხედვით. კათედრის მიერ შემუშავებულია როგორც ზოგადი ხასიათის შეფასების ინდიკატორები, ასევე კონკრეტულ თემებზე, საკითხებზე და გაკვეთილებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებშიც შეფასების კრიტერიუმები მორგებულია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შემდგომ პროგრესის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განმავითარებელ კომენტარს - სოლო ტაქსონომიის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი -** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, რომელიც მიემართება სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებასთან. მათ წარმოადგინეს სხვადასხვა თემასთან მიმართებით შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მოსწავლის შეფასება არის სწავლა სწავლების განუყოფელი ნაწილი, რაც გულისხმობს სწავლა სწავლების ხარისხის მონიტორინგის გზით სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნეს, რომ ხშირად მიმართავენ მოსწავლის შეფასებას, რადგან შეფასება აჩვენებს როგომიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტში. როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლები იყენებენ ურთიერთშეფასებას და თვითშეფასებას და წარმოდგენილი აქვთ თვითშეფასების რუბრიკაც. ასევე კურიკულუმებში ჩაშენებული აქვთ მძლეოსნობის და ტანვარჯიშის შეფასების რუბრიკები. ამრიგად, მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეფასება წარმართონ სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას აქვს მდიდარი გამოცდილება და მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც დასტურდება დაგეგმვის დროს წინარე გამოცდილების დადასტურების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა -** კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ ითვალისწინებს სკოლა დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილებას. ეს ასევე კარგად გამოჩნდა ინტერვიუს დროს, მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისას სწორედ ამ მიმართულებით დასმულ დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა -მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ერთმანეთთან თანამშრომლობა და მშობელთა წინასწარ ინფორმირება კომპლექსურ დავალებებზე ბარათების საშუალებებით გახდა სამომავლოდ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტი. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის

მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის,კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის და უცხოური ენის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლას და კათედრას აქვს ერთობლივი ხედვა თუ როგორ გეგმავს კურიკულუმს და რამდენად გათვალისწინებული აქვს წინარე შედეგები. უცხოური ენის კათედრ იყენებს მოსწავლეთა შედეგების ანალიზს (დავალებები, ტესტები, პროექტები), გამოკითხვის ფორმებს და თვითშეფასების ანალიზს კურიკულუმის დაგეგმვისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-** დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. წინა წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ანგარიშის საფუძველზე ხდება ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და დაძლევის სტრატეგიების განსაზღვრა. ეს გამოიხატა როგორც მთლიანად კურიკულუმის შემუშავებაში, ასევე საკითხების, კომპლექსური დავალებების, შემოქმედებითი პროდუქტისა და აქტივობების შერჩევაში. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის აგებისას, მათი წინანარე ცოდნის შესწავლის მიზნით, ხშირად მიმართავენ სხვადასხვა კვლევას, მოსწავლეთა შედეგების, მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევას, მშობელთა ჩართულობისა თუ მშობელთა კმაყოფილების კვლევას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სსსმ მოსწავლეთა მშობლების კმაყოფილების კვლევას, აგრეთვე იყენებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიის მასალებს, სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, კოლეგების ურთიერთდასწრება, განხორციელებული სასწავლო პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა,რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ გასული სასწავლო წლის გამოცდილებას და შედეგების ანალიზს, ამ ანალიზზე დაყრდნობით მათ შეარჩიეს კომპლექსურ დავალებები(„ისტორია,“ ,,გეოგრაფია“ და „მოქალაქეობა“). კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. აკეთებენ მონიტორინგსა და შეფასებას, ხოლო შემდეგ რევიზია-გადასინჯვას. ეს ეხმარება მათ, დაადგინონ კლასების სპეციფიკა, შესაძლებლობები, საჭიროებები მათი გათვალისწინებით გაგრძელდება და დაიხვეწება კურიკულუმზე მუშაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ესტეტიკური აღზრდა** -კათედრას აქვს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის განხორციელების გამოცდილება. წარმოდგენილი კათედრის ოქმებიდან და აგრეთვე მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ მასწავლებლებმა განიხილეს გასული სასწავლო წელს განხორციელებული სასწავლო პროცესი: განხორციელებული საგნობრივი საკითხები, შესრულებული კომპლექსური დავალების შედეგები და ისე დაგეგმეს მიმდინარე წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმი. წინარე გამოცდილების ანალიზისთვის კათედრა იყენებს სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის გაკვეთილზე დაკვირვებას, განხორციელებული საკლასო აქტივობების და შემაჯამებელი დავალების ანალიზსს. მიმდინარე სასწავლო წელს ესთეტიკური აღზრდის საგანებში იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება, რაც მეტად დაეხმარება მასწავლებლებს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიკაციაში, სტანდარტის მიზნებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი-** გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას დიდ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წინარე პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელსაც კათედრის შეხვედრების დროს ერთმანეთს უზიარებენ და შემდეგ ასახავენ კურიკულუმებში. კათედრის შეხვედრებზე მასწავლებლები შეთანხმდებიან რა გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლისათვის, აღწერენ რესურსებს და აქტივობებს, რომლებმაც სწავლის პროცესში ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობას, წინსვლას და სამიზნე ცოდნის გააზრებულად აგებას. ამას ცხადყოფს სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაც. სწავლა სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- კომპლექსური დავალების ნიმუშები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრების სამოქმედო გეგმები
- ინტეგრირებული პროექტი “ვანდალიზმი “-VII კლასი
- დანართი N 46 - ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მორიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- დანართი N89 ონდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სხდომის ოქმი (საბაზო)
- სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომის ამსახველი მაგალითი -IX კლასის კომპლექსური დავალება და მატრიცა (თემა: თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმები ქანდაკების ხელოვნებაში)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**ინდიკატორი 2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

**სახელმწიფო ენა** - სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე უდასტურდება მოსწავლეთა ჩართულობის მაღალი ხარისხი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა** - მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენა** - სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ავტონომიურობას, ინდივიდუალურ საჭიროებებს და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლამ კითხვარში აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. კომპლექსური დავალებების შექმნის და განხორციელების დიდი გამოცდილება უცხოური ენის კათედრას უკვე აქვს, ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პირველივე ეტაპზე ჩართული სკოლაა და შესაბამისად, კარგად აქვთ გააზრებული მიმართებები მოსწავლის აქტიურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუცაძე ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართულობას რამდენად უწყობს ხელს პროექტული ტიპის აქტივობები. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმაც ნათლად ასახავს ინდიკატორის შესაბამისობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. კათედრა მთავარ როლში აყენებს მოსწავლეებს, მის საჭიროებებსა და ინტერესებს, შესაძლებლობას აძლევს ჩართული იყოს სკოლაში მიმდინარე ნებისმიერ შემოქმედებით პროცესში. კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. გარდა ამისა, სკოლას აქვს პროექტებით სწავლების დიდი გამოცდილება.
**ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მასწავლებლები სწორად და გააზრებულად გეგმავენ სასწავლო პროცესს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ პროცესებში ჩართულობას, სკოლას წარმოდგენილი აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების (,,მოქალაქეობა,“ ,,ისტორია“და ,,გეოგრაფია“) შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. მასწავლებლებს კურიკულუმებში მითითებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელების შემთხვევაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცოშრელი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან შემოქმედებით პროცესში. კომპლექსური დავალებით მუშავდება შესაბამისი სამიზნე ცნებები თავისი მკვიდრი წარმოდგენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა** - საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმი მოწმობს,რომ დაგეგმილ სასწავლო პროცესი, მოსწავლეთვის საინტერესო აქტივობებისა და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით მიმდინარეობს. სტანდარტით სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრის ცოდნა და სამიზნე ცნებების გააზრება მოსწავლეს მიეწოდება ცხოვრებისეულ კონტექსტთან მდგომი მაგალითებით და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით. ეს კი, განაპირობებს მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით ჩართვას სასწავლო პროცესში. როგორც მასწავლებლთან გასაუბრებისას გაირკვა ესთეტიკის კათედრის ხელშეწყობით ხორციელდება საკლუბო აქტივობები, სხვადასხვა თემატური ღონისძიებები, პროექტები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ მრავალფეროვან შემოქმედებით პროცესში, შეიძინონ ცოდნა მათთვის საინტერესო სასწავლო გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია დაგეგმილი, რაც მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს. მოსწავლეებისთვის დაიგეგმა დავალებები, რომელიც არც იმდენად მარტივია, რომ მის მიმართ მოსწავლეს ინტერესი არ გაუჩნდეს და არც იმდენად რთული, რომ მათ მიმართ მოსწავლის დემოტივირება გამოიწვიოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული კლუბი „ლელო“, რომელიც ემსახურება მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და რომლის მიზანია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პოპულარიზაცია მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის და ინტელექტუალური, კულტურული, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებ სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ფეხბურთის და ფრენბურთის წრეები. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ წლის განმავლობაში ჩასატარებელი სასკოლო სპორტული ფესტივალები: მძლეოსნობის, ფრენბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას, მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ უბიძგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საბაზო საფეხურზე მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნის გამოცდილებაზე დაყრდნობით. კერძოდ: კურიკულუმებში გაწერილი თემა არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. პედაგოგებმა ინტერვიურების დროს მკაფიოდ აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ახალი საგაკვეთილო თემების კავშირს წინარე ცოდნასთან, რადგან მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით უკეთ შეუძლიათ ახალი ცოდნის დაშენება, მიღებული ინფორმაციის (ცოდნის) დახარისხება, შედარება წინა გამოცდილებასთან, დასკვნების გამოტანა, დამოუკიდებელი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა. კათედრებზე ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რაც ეხმარება მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, კვლევის, დისკუსიის, მსჯელობისა და ანალიზის საშუალებით თავად ააგონ ცოდნა, იპოვნონ პრობლემის გადაჭრის გზები. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან კომპლექსური ტიპის დავალებებით სასწავლო პროცესის წარმართვა საშუალებას იძლევა, მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებასათვის.სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს , რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში დაგეგმილი აქვთ ფოკუსირება სწავლის სწავლაზე, კერძოდ საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნას ისე, რომ მასში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებების ყოველი ნაბიჯი განხორციელდეს ისეთი აქტივობებით და სტრატეგიებით, რომ მასწავლებლის მხრიდან წახალისებული იყოს მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი/თანატოლის სწავლის პროცესზე დაკვირვება, თვითშეფასება/თანატოლთა შეფასება, რათა დაფიქრდეს, თუ რა არის უკეთესი მისი წინსვლისა და პროგრესისავის. სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა.

**ესთეტიკური აღზრდა -სკოლას მიეცა რჩევა -** მეტაგოკნიციური უნარების განვითარების მიზნით კათედრამ შეიმუშავოს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს გაანალიზონ დავალების შესრულების ეტაპები.

**ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

კათედრებზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, განხორციელებულ სასწავლო პროექტებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებება კი ცოდნის სამ კატეგორაზეა ორიენტირებული. სკოლას აქვს პროექტული სწავლების კარგი გამოცდილება, რაც წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელებული ბაირონის და შექსპირის კვირეულით საბაზო VIII, IX და საშუალო X, XI კლასების მოსწავლეებისთვის, სადაც ჩართული იყო სამივე უცხოური ენა. წარმოდგენილი გეგმა და რეფლექსია ნათლად ასახავს სამივე ცოდნის ტრანფერის კარგ მაგალითს. მიმდინარე სასწავლო წელსაც დაგეგმილია არაერთი საინტერესო ღონისძიება თუ პროექტი, რაც გულისხმობს ინდიკატორის შესაბამისობას.

**ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

საბაზო საფეხურის მასწავლებელთა მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, სხვადასხვა საგნის ინტეგრირებულად და ურიერთდაკავშირებულად სწავლების შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სადამრიგებლო დებულებისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით, მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად სკოლას მიაჩნია მოსწავლეთთვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების შეთავაზება, ასევე მასწავლებლეთა გააქტიურება სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლას საბაზო საფეხურზე აქვს სხვადასხვა საგნების ინტეგრირებულად და უთიერთადაკავშირებულად სწავლების გამოცდილება. მაგ: ინტეგრირებული გაკვეთილი ისტორიასა და ინგლისურ ენაში: „ვიქტორიანული ეპოქა“ VII კლასი; ინტეგრირებული გაკვეთილი ინგლისურ ენასა და ბიოლოგიაში :“ჯანსაღი კვება და ცხოვრების ჯანსაღი წესი“-IX კლასი; კედლის გაზეთის პრეზენტაცია ინგლისურ ენაში სახელწოდებით „როგორ შევინარჩუნოთ ჩვენი პლანეტა“-VII კლასი და აშ... წამოდგენილი აქტივობები

ნათელი მაგალითებია როგორ მოხდება საგანთაშორისო ცოდნის დაკავშირება და ორგანიზება. მასწავლებლები გეგმავენ უფრო ინტენსიურად იმუშაონ საგანთა შორის კავშირზე და წინასწარ შეათანხმონ ისეთი საკითხები, რომლებიც უფრო მეტად უკავშირდება ერთმანეთს, რათა შემდეგში განახორციელონ ინტეგრირებული გაკვეთილები.

**ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები
- სპორტული კლუბი - „ლელოს" წესდება, ფეხბურთის წრის და ფრენბურთის წრის პროგრამები
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრების სამოქმედო გეგმები
- ბაირონისა და შექსპირის კვირეული (2022-2023 ს/წ)

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ ურიკულუმებში ასახული სამიზნე ცნებები /ქვეცნებები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის. ყოველივე ეს კი მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში მოსწავლეებს დავალებების ცხოვრებისეული კონტექსტები ეხმარებათ. ასევე მნიშვნელოვანია სწორედ შერჩეული კონტექსტ-მაგალითი და მრავალფეროვანი რესურსები, რათა სრულყოფილად მოხდეს ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერება.

**ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორცილებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, პრეზენტაცია, თემები: სასკოლო ცხოვრება, მოზარდები და პრობლემები,

მუსიკა, სპორტი, ფილმები, გარემოს დაცვითი აქტივობები ჩვენ გარშემო და ა. შ. მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან. ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. ,ოდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, იაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას დავალების საბოლოო პროდუქტზე, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას. გარდა ამისა, სასკოლო პროექტების აქტივობები გააზრებულადაა მიმართული მოსწავლეთა გლობალური 6 უნარის განვითარებისაკენ.

**ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის და აკადემიური მიღწევების ანალიზი ინსტრუმენტები, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს მექანიზმები რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერაზე.

**ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლისა და მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუცა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რას შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის.
**ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას ახალი სასწავლო წლისთვის შემუშევებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც სკოლა განახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულების მიმართულებით. ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვას და წარმართვას სკოლაში უზრუნველყოფს ვერიფიკაციის ჯგუფი რომელიც კათედრის ხელმძღვანელებთან კონსულტაციის გზით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. დოკუმენტი ადგენს მოსწავლის შეფასების პრინციპებს,რომელიც ეფუძნება ვალიდურობას,სანდოობას,გამჭვირვალეობას,სამართლიანობას და ობიექტურობას, აყალიბებს ამ პრინციპების კრიტერიუმებს.სკოლის ვერიფიკაციის მნიშვნელოვანი პუნქტები ეხება შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობას სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების გაანალიზებას და ღონისძიებების დაგეგმვას შედეგების გასაუმჯობლესებლად.ვერიფიკაციის დასკვნის საფუძველზე პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას რომელშიც ასახული იქნება გამოვლენილი პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრის გზები ასევე განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.**ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2. 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, სკოლის არქივი ინახავს ყველა მონაცემს. მასალები სკოლას აქვს დაარქივებული ჟურნალების სახით. ასევე დაარქივებულია ელექტრონული ჟურნალების სახით. აქედან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.

**ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- ინტერვიუ პედაგოგებთან

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ღირებულებებში ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისათვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშ ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოთ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით, საერთო ძალისხმევით განხორციელებულ პროექტული, კლუბური და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების წარმართვით.

**ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კერძოდ, მათ ისაუბრეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. არაფორმალური განათლების კუთხით სკოლას ჰყავს ძალიან აქტიური თვითმმართველობა, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების, ინტელექტუალური თაშების ორგანიზატორია. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს არსეობას ადასტურებს ისიც, რომ მათთვის გამოყოფილია ცალკე სივრცე სადაც განთავსებულია რადიოკვანძი და მართავენ მოსწავლეები. სკოლას აქვს კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საკონფერენციო დარბაზი და დასტურდება, რომ მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია.

**ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც ხორციელდება სკოლაში. ასევე, წლის განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს ,,კრიტიკული მეგობარი“, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ესწრებიან გაკვეთილებს, აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თვითგანვითარებაში. აღსანიშნავია, რომ სკოლას დიდი გამოცდილება აქვს პროფესიული ორიენტაციის კუთხითაც კერძოდ, მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა სფეროში ჩართულმა მშობლებმა პრეზენტაციები მოამზადეს და მოსწავლეებს წარუდგინეს. მომავალში, ამ პრაქტიკაზე დაყრდნობით, იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეებთან ინტერაქტიური საუბარი.

**ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად აქტიური შეხვედრები ტარდება მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან სადაც ყურადღება მახვილდება უთიერთმხარდაჭერასა და პატივისცემაზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკური გარემოს მოწყობა ასევე არაფორმალური აქტივობები, ლაშქრობების, ექსკურსიებისა და გასვლითი ღონისძიებების დაგეგვმა და გახორციელება, რომელიც სკოლის ძლიერი მხარეა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების წინაპირობაა.

**ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საფეხურის კურიკულუმები
- ინტერვიუ დირექციასთან
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**
**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შესაბამისად

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, გამოკვეთს თუ რა მიზანს ემსახურება შეფასება, საჭირო მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებსა და გზებს, თუ როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. იმართება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მასწავლებელბის შეხვედრა, სადაც ჯერ იგეგმება სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, შემდეგ კი კეთდება მონიტორინგი კათედრის წევრების დაკვირვების შედეგების საფუძველზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად. კათედრაზევე ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისკენ. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით.
**ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**
სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და მეთოდოლოგიაში გაწერილი კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებიდან გამომდინარე, კათედრის თითიეული წევრი კათედრის თავჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ასევე, მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარადჭერის ჯგუფის წევრების მიერ. დირექტორის მოადგილე, ამ ანგარიშების საფუძველზე აკეთებს სტატისტიკას, აანალიზებს გასაუმჯობელებელ მხარეებს და იგეგმება სხვადასხვა აქტივობებს.
**ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშუღე ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მეთოდოლოგიაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ჩანდა, რომ მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში ახდენენ ძლიერი და სუსტი მხარეების, ხელისშემშლელი ფაქტორებისა და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებას კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის და შემდეგ ცვლილებებს ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. მონიტორინგის და შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია აისახება სამოქმედო გეგმაში, სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ და ისახება პრობლემის მოგვარების გზები. მომდევნო წლიდან იგეგმება ურთიერთდასწრებები, მიღებული ინფორმაციის გაანალიზება პროფესიულ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე დასტურდება

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ღამბაშიძე ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.3.2.1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუირებით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
**ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე იდენტიფიცირებაზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის კათედრა თვლის, რომ მოსწავლეთა შეფასება განხორციელდეს მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებს. მაგ, ყურადღება ექცევა რამდენად აქვს გადმოცემის უნარი, შესაძლებელია მოსწავლეს ზეპირსიტყვიერი გადმოცემის უნარი ნაკლებად ჰქონდეს და ამის გამო სრულყოფილად ვერ გადმოსცემდეს მის მიერ მიღებულ ცოდნას. გაითვალისწინება რამდენად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სრულყოფილად აქვს გაგებული კონკრეტული თემა, აღნიშნულს მასწავლებელი ახორციელებს სხვადასხვა კითხვის დასმით, რომლითაც ადგენს რომ მოსწავლეს ამომწურავად აქვს გაგებული საკითხი.
**ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

გასაუბრებისა გამოიკვეთა, რომ სკოლა მონაცემთა შეგროვების პროცესს ანხორციელებს სკოლის მიზნისა და საჭიროების იდენტიფიცირებით. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: დაკვირვება, შეფასების რუბრიკები, ინტერვიუ, შევსებული თვითშეფასების კითხვარები, მშობელთა გამოკითხვის ფორმები, სხვადასხვა ტიპის კვლევების ანკეტები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება შემაჯამებელი თუ დიაგნოსტიკური წერები, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეს აძლევს თვითშეფასების შესაძლებლობას განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ერთ-ერთ მეთოდად ხოლო ზემოდ აღნიშნული მეთოდები გამოიყენება დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისათვის.
**ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომლისათვისაც სკოლა იყენებს მულტიფაქტორულ მიდგომას. გასათვალისწინებელია ინდივიდზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები და სოციალური გარემო სადაც იგი იზრდება და ვითარდება. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე შეფასებისას მასწავლებლები უნდა ეყრდნობოდნენ მრავალ ფაქტორებს და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეთა შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორებს იყენებენ: ახდენენ მოსწავლეთა დიფერენცირებული პროფილის შექმნას; იკვლევენ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარებს; ეძიებენ უნარების განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები
- ინტერვიუ პედაგოგებთან
- კათედრების სხდომების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მასწავლებლები გასაუბრებისას გამოყოფენ მნიშვნელოვან ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრის წევრები ამზადებენ ე.წ. დოკუმენტების კრებულს სიტყვიერს თუ სარეკომენდაციოდ გაწერილი მასალების ნაერთს, რომლებიც შეიცავს: რა მიგნებები აქვთ სამუშაო გამოცდილებიდან კარგი, რას დასჭირდება გადამუშავება, რატომ არ გაამართლა ფურცელზე დაწერილმა, რამ გაამართლა და რატომ, როგორ გამოვკვეთე პრობლემა და როგორია გადაჭრის გზები და საშუალებები, ამ შედეგებს აჯერებენ და წარუდგენენ ადმინისტრაციას. ადმინისტრაცია აანალიზებს და მასწავლებლებთან მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავს აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერას.

**ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა არის ციკლური პროცესი. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც თავად მათ მიერ კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ გამოცდილებას, ისე სხვა მასწავლებელთა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. აღნიშნულის საფუძელზე შეიქმნება გადამუშავებული კურიკულუმი, რომლებიც გამოიყენება მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია ფურცელზე დაწერილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის.

**ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ
- კათედრების სხდომების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუნა ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის პროგრამა)** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2. სასკოლო კურიკულუმი**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.1.1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის განვითარების პროცესში ასევე წარმოდგენილია მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და მოვალეობები. კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში გათვალისწინებულია განსხვავებული ხედვები და პრიორიტეტები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლობენ, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და სწორედ ამის გათვალისწინებით ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს.
**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშვილი ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მაგ. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესის გათვალისწინებით დაწესებულებაში საშუალო საფეხურის XI კლასში ისწავლება მესამე უცხოური ენა (არჩევითი) -ფრანგული. წარმოდგენილია შემუშავებული კურიკულუმი და განსახორციელებელი პროექტის იდეაც. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილმა შეხვედრებმა კათედრის წევრებთან და მშობლებთან. მასწავლებლები აანალიზებენ შეხვედრებზე გამოვლენილ საჭიროებებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. გარდა ამისა, კურიკულუმზე მუშაობის პროცესში მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ წინა წლის გამოცდილებას. წინამდებარე ინფორმაციის შეგროვებისა და შეჯერების შემდგომ კი გეგმავენ კომპლექსური ბუნების დავალებებსა და აქტივობებს. წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები მოსწავლეთა ინტერესების და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რომლებშიც გაწერილია საინტერესო, არსებულ რეალობასა და მოსწავლეთა საჭიროებაზე გათვლილი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეთა შედეგებს გააუმჯობესებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.
**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

აღნიშნული დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. გარდა ამისა, იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მართალია სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ ჩანს კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, თუმცა მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, მკაფიოდ ჩანს კათედრის საგნის მასწავლებელთა ჩართულობა იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კომპლექსური დავალებების აგებისა და ეფექტურად განხორციელების საშუალებები და სხვა. გარდა იმისა, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის პროექტის მიმდინარე ვერსია არის გაზიარებული და შეთანხმებული, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ყველა მასწავლებელმა იმუშავა სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე, თუმცა მშობელთა ჩართულობა მხოლოდ კომპლექსური დავალების ბარათებით შემოიფარგლებოდა. იგეგმება მშობელთა უფრო აქტიური ჩართვა, კერძოდ სხვადასხვა ითხვარების საშუალებით მშობლებს გააცნობენ მთლიან კურიკულუმს და მოდიფიცირებისათვის გაითვალისწინებენ მათ უკუკავშირს

**ინდიკატორი 2.1.1.3 . დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ -** შემუშავებული კურიკულუმის გაცნობა ხდება მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე, ხორციელდება განხილვები და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილება და გადაიხედება კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები, ხდება მოდიფიცირება საჭიროებების მიხედვით. კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებაში ძირითადად მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო. სკოლა გეგმავს, რომ კურიკულუმები მშობლებს გაუზიარონ ელექტრონული ფორმით და ასევე მიაწოდონ კითხვარი, რომლის საშუალებითაც მათ აზრს გაიგებენ, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშუკი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუ
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა გამოკითხვის სტატისტიკური ანალიზი
- შეფასების რუბრიკები

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

**სახელმწიფო ენა** კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. სკოლას განხორციელებული აქვს სასწავლო აქტივობები და პროექტები შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**მათემატიკა-** სკოლის თვითშეფასების მიხედვით კურიკულუმის შემუშავებისას საშუალო საფეხურზე ყველა მასწავლებელი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესს, ამავდროულად გათვალისწინებულია მოსწავლის განვითარების ჰოლისტური მიდგომა. მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება, საკითხი/საკითხთა კლასტერები, კომპლექსური დავალების იდეები, მითითებული აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. პედაგოგებმა ინტერვიუების დროს ყურადღება გაამახვილეს, რომ მიმდინარეობს 2023-24 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილების სრულად შევსება და საბოლოოდ კურიკულუმებში გათვალისწინებული იქნება ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** საშუალო საფეხურზე უცხოური კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გრძელვადიან მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა დდამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულ შუალედურ მიზნებს წარმოადგენს მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირება იმდენად რამდენადაც ჩარჩოში მოცემული საკითხები და თემები მიემართება კომპლექსური ბუნების დავალებებს რაც სხვადასხვა უნარის განვითარებას უწყობს ხელს მოსწავლეებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -სკოლის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კომპლექსური დავალებებით მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. თავდაპირველად კურიკულუმების ჩარჩოებში არ იყო შევსებული ყველა ველი, თუმცა ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებმა აღნისნეს, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მათ აქვთ კურიკულუმების განახლებული და დამტკიცებული ვერსიები და მეორე დღესვე მოგვაწოდეს კურიკულუმებზე მუშაობა ამ ეტაპზეც მიმდინარეობს და ვინაიდან სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელის პროექტში, მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობაც, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება კომპლექსური დავალებების დამუშავება (მაგ. ასაკობრივიზღვარის შესაბამისი სახალისო დისკუსიები, თამაშის ელემენტები და სხვ.), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები-** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას ;კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.დაფარულია ყველა თემა შესაბამისი საკითხებით, ქვეცნებებით ქვესაკითხებით კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად, რაც დაეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა-** საშუალო საფეხურის პროექტულ კურიკულუმებში შეტანილი თემების და საკითხების სახით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარების გზას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა მიმართულია მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებისაკენ, მოტივაციის ამაღლებისა და თითოეული მათგანის გონებრივ განვითარებაზე ზრუნვისაკენ. შესასწავლი საგნობრივი საკითხები, აქტივობები, გაკვეთილის გეგმები, კომპლექსურ დავალებები მოსწავლეს საინტერესო, ცხოვრებისეული კონტექსტებით მიეწოდება. რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობის მაღალ ხარისხს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესს წარმოაჩენს პროქტულ სასწავლო გეგმაში ჩაშენებული აქტივობები და კომპლექსური დავალებების კონკრეტული ნიმუშები (დავალების პირობა, დავალების განხორციელების ნაბიჯები, შეფასების ინდიკატორები), რომლებიც დართული აქვს კურიკულუმის ჩარჩოებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** -გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყველა მასწავლებლის მონაწილეობით, შემუშავებული იქნა კურიკულუმის ჩარჩო. მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, უნარების და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაგურია ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შესაძლებლობების გათვალისწინებით შეირჩა კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები. კურიკულუმებში ყველა საჭირო რესურსი ჰიპერლინკის სახითაა მოცემული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

**სახელმწიფო ენა-** სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია ის მოცემულობები, რაც მიემართება ესგ-ის მიერ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა-** სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნეგრძელვადიან მიზნებსა გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** უცხოური ენის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. წარმოდგენილი პროექტული შინაარსის დავალებები და დაგეგმილი პროექტების თუ აქტივობების იდეები მიემართება ფუნქციური უნარების განვითარებასა და ჩამოყალიბებას. მაგალითად. უილიამ შექსპირის დაბადებიდან 460 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო ღონისძიება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ XI კლასის მოსწავლეები და სამივე უცხოურ ენაზე იქნება წარმოდგენილი აქტივობები და პრეზენტაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირებას. (მაგ: პროექტი, სხვადასხვა აქტივობები, კლუბები) ამ მიმართულებით სკოლას აქვს კიდეც გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური აქტივობები და კლუბური მუშაობა. კერძოდ, საბუნებისმეტყველო საგნების მიართულებით სკოლასი ფუნქციონირებს ეკოკლუბი, სამეწარმეო კლუბი „მარჯვე ხელები"და ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლების მიერ დაარსებული ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი „ნორჩი მკვლევარები". **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მოცემული საგნების (გეოგრაფია,ისტორია,მოქალაქეობა) კურიკულუმები მიემართება შესაბამის სამიზნე ცნებებს: გეოგრაფია (გეოგრაფიული გარსი,მოსახლეობა და მეურნეობა); ისტორია (სივრცე, დრო,ისტორიული წყარო, ძალაუფლება, საზოგადოება,ისტორიული მოვლენა,ისტორიული პროცესი)მოქალაქეობა (საზოგადოება,დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება) გარდა ამისა, მუშავდება გლობალური ფუნქციური უნარები: შემოქმედებითობა , კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა . კომპლექსური დავალების პირობები მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავოს კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარები. ყოველივე ეს სიღრმისეული სწავლების პრინციპებს მიესადაგება. საგნობრივი კურიკულუმები მიმართულია მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა-** კათედრის მიერ საშუალო საფეხურის კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი სტანდარტები: სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშურაძ ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

და მკვიდრი წარმოდგენები საფეხურის შედეგებთან ერთად სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად. თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული ცნები და ქვეცნებები. პროექტის აქტივობები და ეტაპები, კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი ნაბიჯები, საკვანძო კითხვები, მოითხოვს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის უნარების გამოვლენას მოსწავლეთა მხრიდან. კათედრა ჩართულია საგანთშორისო პროექტებში, რომლთა მიზნების და ამოცანები ხელს უწყობს 21-ე საუკუნეს უნარ-ჩვევების განვითარებას - კრიტიკულ აზროვნებას, პრეზენტაციის უნარს, მსჯელობა და დისკუსიის პრაქტიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი-** საგნის კურიკულუმში, ყველა თემას ახლავს კომპლექსური დავალების იდეა, სადაც თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება - ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ჯანსაღი ცხოვრების წესი არის დამუშავებული. კურიკულუმებში წარმოდგენილია ყველა თემისთვის და კომპლექსური დავალების იდეისთვის შესაფერისი ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. კომპლექსური დავალების საშუალებით, სადაც მოსწავლეა შემოქმედი და ქმნის პროდუქტს, მასწავლებელი უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. მასწავლებლებმა იციან, თუ როგორ გაიყვანონ მოსწავლეები შუალედური მიზნებით, გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2. 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

**სახელმწიფო ენა** -სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა -** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის გამოცდილება, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. საგნობრივ პროგრამებში შეტანილი კომპლექსური დავალებები მოიცავს დიფერენცირების ელემენტებს. კომპლექსური დავალების პირობა ისეაა ფორმულირებული, რომ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეს შეუძლია იპოვოს მასზე მორგებული დავალების შესრულების თუ წარდგენის ფორმა, თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვერსიები, რომლებიც შეტანილია ისგ-ში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მასწავლებლები სპეციალურ მასწავლებლებთან ერთად ახდენენ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას და დიფერენცირება შეიძლება შეეხოს პირობას, აქტივობებს, პროდუქტს ან თუნდაც გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის დამადასტურებული დებულება (2023-2024 ს/წ), საიდანაც დგინდება, რომ დაწესებულება ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების დანერგვას სკოლაში, ქმნიან და სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. რაც შეეხება საგნობრივ ჭრილში, თითოეული მოსწვალის გათვალისწინებას და დიფერენცირებულ მიდგომებს, ამის შესახებ მასწავლებლებს აქვთ ხედვა და საუბრობენ სასწავლო პროცესიდან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე როგორ ახდენენ სასწავლო მასალის დიფერენცირებას (გასასვლელი ბარათები, დავალებები მორგებული მოსწავლეთა უნარებზე.).
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-**. სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. საბუნებისმეყველო საგნების მასწავლელები მუშაობენ მოსწავლეებთან, რომელთაც აქვთ სხვადასხვა უნარები, ცოდნა და შესაძლებლობები. ასევე აქვთ გამოცდილება ინდივიდიალური სასწავლო გეგმის შექმნისა. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს, კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** -საშუალო საფეხურის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია ესგ-ს შესაბამისად სასკოლო საზოგადოების მიერ.სასკოლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. - საშუალო საფეხურზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ ისგ-ს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა**- ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ მოწოდებული საშუალო საფეხურის დოკუმენტაციდან ირკვევა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები,რაც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა ინტერვიუში მოიყვანეს მაგალითები როცა მათ, მოსწავლეთა შესაძლებლობების გაითვალისწინებით შესთავაზეს დავალებებზე მუშაობისას განსხვავებული ვარიანტები, არჩევანის თავისუფლებით. აღნიშნა, რომ ამგვარი მიდგომებით შესამჩნევლად იზრდება მოსწავლეთა თავდაჯერებულობა, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა რაც შესაბამისად აისახება შესრულებულ დავალებებში. კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელსაც სკოლის სპეციალურ მასწავლებლთან ერთად შეიმუშავებენ სსსმ მოსწავლისათვის. მათში შესასწავლი თემის ფარგლებში ადაპტირებულია ცნების მკვიდრი წარმოდგენები და დავალების საბოლოო პროდუქტი.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი-** სწავლა სწავლების პროცესში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და ისე დაგეგმვა, რომ დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე, დიფერენცირებული მიდგომით მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია, რომ ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მოსწავლემ შესაძლოა სხვადასხვა კომპლექსური დავალება განახორციელოს. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი, სადაც გაწერილი აქვთ სკოლის ვალდებულებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ უზრუნველყონ სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დაგეგმონ სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული სხვადასხვა აქტივობა და შეაფასონ ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფიზიკური აღზრდა და სპორტისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
**ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ორიენტირებს

**სახელმწიფო ენა** -კათედრებმა წარმოადგინა რელევანტური შეფასების რუბრიკების ნიმუშები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა-** საშუალო საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამას ადასტურებს ის, რომ შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, კონკრეტულ კომპლექსური ბუნების დავალებას. კათედრასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ კათედრაზე წლის დასაწყისში შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს თემატიკის მიხედვით. წარმოდგენილ რუბრიკებში ჩანს ხედვა, თუ როგორ უნდა შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ერთი მხრივ, სტანდარტის ინდიკატორებზე, მეორე მხრივ კი, მკვიდრ წარმოდგენებსა და დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენები-** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. უცხოური ენის საშუალო საფეხურზე სკოლაში დანერგილია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება, კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება კათედრაზე; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასებით სოლო ტაქსონომიის შესაბამისად. თუმცა, მსგავსად დაწყებითი და საბაზო საფეხურისოა, წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ჰოლისტური ბუნებისაა და თემის ფარგლებში დაძლევის სურათს წამროადგენს. ვინაიდან დაწესებულება ირჩევს შეფასების პირველ მოდელს, სასურველია შეიქმნას რუბრიკები, რომლებიც შესაბამისი იქნება შემაჯამებელი დავალების გრძლევადიან (საგნობრივი ინდიკატორები) მიზნებთან დაკავშირებული.
**სკოლას მიეცა რჩევა,** უცხოური ენის საშუალო საფეხურზე შეიქმნას გრძლევადიან (საგნობრივი ინდიკატორები) მიზნებთან შესაბამისი შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაძიკიძე ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საშუალო საფეხურზეც დაგეგმილია ისეთი პროცესი, სადაც სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლის შემუშავებაც ხშირად მათი ჩართულობით ხდება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების სქემები, მაგალითად: დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, პროექტის, ლაბორატორიული სამუშაოს და სხვ. განმავითარებელი შეფასებისთვის გამოყენებულია კომენტარი/უკუკავშირის ზეპირი და წერილობითი ფორმა, დაკვირვება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად, შედეგების გაუმჯობესების გზად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები-** საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, თუ რა ადგილი უჭირავს შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ჯერ ადგენენ მოსწავლეების წინარე ცოდნას და შემდეგ გადადიან ახალი მასალის ახსნაზე. მუშაობის პროცესში კი ისინი ზეპირი განმავითარებელი კომენტარების სახით აწვდიან მოსწავლეებს უკუკავშირს. საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები იყენებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს აღნიშნეს ვერბალური, ანალიტიკური დისკუსიის, პრეზენტაციისა და სხვა რუბრიკების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა-** საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, აგრეთვე მასწავლებლებთან გასაუბრება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ განმავითარებელი შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებსაკენ და ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტების მეთოდურ ორიენტირებს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ პროექტული სწავლების შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა რუბრიკებს, როგორც ჯგუფურ შეფასების რუბრიკებს, ასევე თითოეული მოსწავლისთვის განკუთვნილ განმავითარებელ კომენტარს. პროექტში ჩაშენებული საეტაპო აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კრიტერიუმები მორგებულია საგნობრივ სამიზნე ცნებებს და ფასდება განმავითარებელი კომენტარით - სოლო ტაქსონომიის საფუძველზე, რასაც მასწავლებლები მოსწავლეთა შემდგომ პროგრესის ხელშეწყობისთვის ითვალისწინებენ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, რომელიც მიემართება სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებასთან. მათ წარმოადგინეს სხვადასხვა თემასთან მიმართებით შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მოსწავლის შეფასება არის სწავლა სწავლების განუყოფელი ნაწილი, რაც გულისხმობს სწავლა სწავლების ხარისხის მონიტორინგის გზით სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნეს, რომ ხშირად მიმართავენ მოსწავლის შეფასებას, რადგან შეფასება აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტში. როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლები იყენებენ ურთიერთშეფასებას და თვითშეფასებას და წარმოდგენილი აქვთ თვითშეფასების რუბრიკაც. ასევე კურიკულუმებში ჩაშენებული აქვთ მძლეოსნობის და ტანვარჯიშის შეფასების რუბრიკები. ამრიგად, მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეფასება წარმართონ სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
**ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი**

**სახელმწიფო ენა** -სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა** - სკოლას სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის პროექტში ასახული აქვს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილების ანალიზი. პედაგოგებთან წარმართული ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კათედრაზე მუდმივად ხდება წინარე გამოცდილების გაზიარება გაანალიზება რომელმა აქტივობამ იმუშავა კარგად და რომელმა არა. შესაბამისად ხდება სხვა აქტივობების ჩანაცვლება. აღნიშნული მაძლევს საფუძველს, რომ წინარე გამოცდილების გაზიარებით შედგება უკვე გადამუშავებული, 2024-2025 წლების რევიზირებული კურიკულუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**უცხოური ენები-** თვითშეფასების ფორმიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმის დანართები გასული წლიქს სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობითაა შექმნილი. დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და დანერვის პროცესში ჩართულია სულ პირველი ეტაპიდან (2019 წლიდან), შესაბამისად ყოველ სასწავლო წელს ზოგადი განათლების ხელშემწყობი გუნდის დახმარებით ქმნიან და ახორციელებენ მიღებული გამოცდილებით და ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ კურიკულუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-** დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. წინა წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ანგარიშის საფუძველზე ხდება ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და დაძლევის სტრატეგიების განსაზღვრა. ეს გამოიხატა როგორც მთლიანად კურიკულუმის შემუშავებაში, ასევე საკითხების, კომპლექსური დავალებების, შემოქმედებითი პროდუქტისა და აქტივობების შერჩევაში. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის აგებისას, მათი წინანარე ცოდნის შესწავლის მიზნით, ხშირად მიმართავენ სხვადასხვა კვლევას, მოსწავლეთა შედეგების, მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევას, მშობელთა ჩართულობისა თუ მშობელთა კმაყოფილების კვლევას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სსსმ მოსწავლეთა მშობლების კმაყოფილების კვლევას, აგრეთვე იყენებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიის მასალებს, სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, კოლეგების ურთიერთდასწრება, განხორციელებული სასწავლო პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა,რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ გასული სასწავლო წლის გამოცდილებას და შედეგების ანალიზს, ამ ანალიზზე დაყრდნობით მათ შეარჩიეს კომპლექსური დავალებები(„ისტორია,“ ,,გეოგრაფია“ და „მოქალაქეობა“). კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. აკეთებენ მონიტორინგსა და შეფასებას, ხოლო შემდეგ რევიზია-გადასინჯვას. ეს ეხმარება მათ, დაადგინონ კლასების სპეციფიკა, შესაძლებლობები, საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა-** კათედრას ააქვს პროექტული სწავლების გამოცდილება წარმოდგენილი კათედრის ოქმებიდან და აგრეთვე მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა,რომ მასწავლებლებმა განიხილეს გასული სასწავლო წელს განხორციელებული სასწავლო პროცესი: განხორციელებული საგნობრივი საკითხები, განხორციელებული პროექტის შედეგები და ისე დაგეგმეს მიმდინარე წლის საშუალო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშუტი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საფესურის კურიკულუმი ხელოვნებასა და მუსიკაში.. წინარე გამოცდილების ანალიზისთვის კათედრა იყენებს სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის გაკვეთილზე დაკვირვებას, განხორციელებული საკლასო აქტივობების და შემაჯამებელი დავალების ანალიზსს. მიმდინარე სასწავლო წელს ესთეტიკური აღზრდის საგანებში იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება, რაც მეტად დაეხმარება მასწავლებლებს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიკაციაში, სტანდარტის მიზნებთან მიმართებით.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი-** გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას დიდ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წინარე პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელსაც კათედრის შეხვედრების დროს ერთმანეთს უზიარებენ და შემდეგ ასახავენ კურიკულუმებში. კათედრის შეხვედრებზე მასწავლებლები შეთანხმდებიან რა გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლისათვის, აღწერენ რესურსებს და აქტივობებს, რომლებმაც სწავლის პროცესში ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობას, წინსვლას და სამიზნე ცოდნის გააზრებულად აგებას. ამას ცხადყოფს სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაც. სწავლა სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ
- კომპლექსური დავალების ნიმუშები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრების სამოქმედო გეგმები
- დანართიN 90 ისგ სხდომის ოქმი -საშუალო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

➢ დანართი N 46 - ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მორიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**
**2.2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
**ინდიკატორი 2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

**სახელმწიფო ენა** - კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, პროექტებით, არაფორმალური განათლებისთვის დამახასიათებელი აქტივობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**მათემატიკა -** მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსურ დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**უცხოური ენა -** იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებების იდეები შეიძლება ვთქვათ, რომ მოსწავლე ამგვარ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართული და შეძლოს კეთების პროცესში ცოდნის კონსტრუირება. მაგალითად X კლასის რუსულ ენაში არის ასეთი დავალება: მოთხრობის დაწერა „Белая ворона“. კურიკულუმში მასწავლებელი იყენებს საინტერესო საყრდენებს როგორც ფილმის (თეთრი დაფა“), ასევე სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის საშუალებით, თუმცა დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლეს უწევს შემოქმედებითი აზროვნების გააქტიურება, რათა დამოუკიდებლად მოიფიქროს ფაბულა და განავითაროს ამბავი. ანალოგიურადაა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები ინგლისურ ენაში, სადაც მოსწავლეები შემქნიან სხვადასხვა თემატიკის ესეებს თუ წერილებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. კათედრა მთავარ როლში აყენებს მოსწავლეებს, მის საჭიროებებსა და ინტერესებს, შესაძლებლობას აძლევს ჩართული იყოს სკოლაში მიმდინარე ნებისმიერ შემოქმედებით პროცესში. კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშ ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. გარდა ამისა, სკოლას აქვს პროექტებით სწავლების დიდი გამოცდილება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კათედრის წევრები სწორად და გააზრებულად გეგმავენ სასწავლო პროცესს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ პროცესებში ჩართულობას, სკოლას წარმოდგენილი აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. მასწავლებლებს კურიკულუმებში მითითებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელების შემთხვევაში მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან შემოქმედებით პროცესში. კომპლექსური დავალებით მუშავდება შესაბამისი სამიზნე ცნებები თავისი მკვიდრი წარმოდგენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ესთეტიკური აღზრდა -** საშუალო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმი მოწმობს,რომ დაგეგმილ სასწავლო პროცესი, მოსწავლეთვის საინტერესო აქტივობებისა და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით მიმდინარეობს. სტანდარტით სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრის ცოდნა და სამიზნე ცნებების გააზრება მოსწავლეს მიეწოდება ცხოვრებისეულ კონტექსტთან მდგომი მაგალითებით და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით ეს კი, განაპირობებს მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით ჩართვას სასწავლო პროცესში. როგორც მასწავლებლთან გასაუბრებისას გაირკვა ესთეტიკის კათედრის ხელშეწყობით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშელი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ხორციელდება საკლუბო აქტივობები, სხვადასხვა თემატური ღონისძიებები პროექტები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ მრავალფეროვან შემოქმედებით პროცესში, შეიძინონ ცოდნა მათთვის საინტერესო სასწავლო გარემოში.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი -** კურიკულუმებში თემების და კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი იდეებია დაგეგმილი, რაც მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს. მოსწავლეებისთვის დაიგეგმა დავალებები, რომელიც არც იმდენად მარტივია, რომ მის მიმართ მოსწავლეს ინტერესი არ გაუჩნდეს და არც იმდენად რთული, რომ მათ მიმართ მოსწავლის დემოტივირება გამოიწვიოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული კლუბი „ლელო", რომელიც ემსახურება მოზარდებში ჯანსაღი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების განხორციელების შესაძლებლობა. სკოლის მიერ მიერ შემუშავებული საგნის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა სრულად იძლევა საშუალებას მოსწავლემ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია სტანდარტთან. ინტერვიუს საფეძველზე, ასევე კურიკულუმის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეთა წინარე ცოდნა გათვალისწინებულია და შესაბამისად იგეგმება ახალი თემები და საკითხები. წარმოდგეილ დავალების იდეებში ხშირად გვხვდება ფრაზები: გაიხსენე ნასწავლი.; გამოიყენე ნასწავლი...; ამავე მიზნების მიღწევისთვის მაგ. ესთეტიკის კათედრა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, კვლევის, დისკუსიის, მსჯელობისა და ანალიზის საშუალებით თავად ააგონ ცოდნა, იპოვნონ პრობლემის გადაჭრის გზები. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, ახალი ცოდნის კონსტრიურება განახორციელონ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
**ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან კომპლექსური ტიპის დავალებებით სასწავლო პროცესის წარმართვა საშუალებას იძლევა, მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებასათვის.სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში დაგეგმილი აქვთ ფოკუსირება სწავლის სწავლაზე,კერძოდ საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნას ისე, რომ მასში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებების ყოველი ნაბიჯი განხორციელდეს ისეთი აქტივობებით და სტრატეგიებით, რომ მასწავლებლის მხრიდან წახალისებული იყოს მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი/თანატოლის სწავლის პროცესზე დაკვირვება, თვითშეფასება/თანატოლთა შეფასება, რათა დაფიქრდეს, თუ რა არის უკეთესი მისი წინსვლისა და პროგრესისავის. სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა.

**ესთეტიკური აღზრდა -სკოლას მიეცა რჩევა -** მეტაგოკნიციური უნარების განვითარების მიზნით კათედრამ შეიმუშავოს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს გაანალიზონ დავალების შესრულების ეტაპები.

**ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებლებმაც სწორედ ეს აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, სწორედ სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალებების განხორციელებით. მათ ასევე ისაუბრეს იმ აქტივობებზე, კითხვარებსა თუ ტესტებზე, რომელიც ითვალისწინებს და ამოწმებს ცოდნის სამივე კატეგორიას.

**ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილვევი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ.  რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი.  ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მაგალითისთვის, მიმდინარე სასწავლო წელს, XIკლასში დაგეგმილია ხელოვნებისა და ინგლისური ენის ინტეგრირებული პროექტი, სახელწოდებით: “საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია “- სამენოვანი ბუკლეტების შექმნა.

**ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრების სხდომის ოქმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სპორტული კლუბი - „ლელოს“ წესდება, ფრენბურთის წრის პროგრამა

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

**სახელმწიფო ენა** -კომპლექსურ დავალებების შესრულება და პროცესზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეს სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების თანდათანობით ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**მათემატიკა** -სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**უცხოური ენები** -კათედრის მიერ წარმოდგენილია თემები და საკითხები, რომლებიც მოიცავს სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. თუმცა, სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმი იმგვარად იქნას შედგენილი, რომ სრულყოფილად ითვალისწინებდეს თითოეული თემის ირგვლის გრძლევადიანი მიზნების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
**რჩევა:** სასურველია კურიკულუმის დაგეგმვისას უცხოური ენის საშუალო საფეხურზე თითოეული თემის ფარგლებში შეიქმნას და განხორციელდეს კომპლექსური დავალებები/კომპლექსური შინაარსის დავალებები

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -. სამიზნე ცნებას აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები, ხოლო მკვიდრი წარმოდგენები პასუხობს კითხვას რა არის სწავლის მიზანი. სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში და შეაბამისად, სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, თუმცა კურიკულუმებში დასაზუსტებელია ქვეცნებები, მაგალითად ქიმიის კურიკულუმში ქვეცნება, საკითხთა კლასტერი, ქვესაკითხი მასწავლებლებს დასაკორექტირებელი აქვთ. აგრეთვე კორექტირება შეიტანეს ბიოლოგიის მასწავლებლებმა. ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნეს, რომ მსჯელობისას უკეთესად გააცნობიერეს აღნიშნული და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ კურუკულუმებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. განსაკუთრებული ყურადღებით ჩამოაყალიბებენ საფეხურის საკვანძო შეკითხვებს, ვინაიდან, როგორ ვასწავლოთ და როგორ დავამუშავებინოთ ინფორმაცია მოსწავლეებს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია. ერთადერთ გამოწვევად ესახებათ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი, თუმცა ამ მიმართულებითაც მუშაობენ და სხვადასხვა აქტივობებით ცდილობენ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** -სამიზნე ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს საზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა.მაგალითად საშუალო საფეხურზე ისტორიის საგანში წარმოდგენილი კურიკულუმი ცხადყოფს, რომ მასწავლებელი თემის ფარგლებში გამოყოფს დასამუშავებელ ცნებებს შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენებით, რომელთა გააზრება-გათავისებას დაგეგმილი აქტივობებით შეძლებს მოსწავლე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაგურია ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ესთეტიკური აღზრდა** -საშუალო საფეხური კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას,რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმართულია სამიზნე ცნების და შესასწავლი თემის მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებისაკენ. წარმოდგენილ პროექტულ სწავლებაში, შეფასების კრიტერიუმებში სჩანს თუ როგორ ხდება, საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით ცოდნის გაღმავება, ცნების/ქვეცნების თანმდევი განზოგადების ჩამოყალიბება მკვიდრ წარმოდგენათ. კომპლექსურ დავალების პირობის შესრულება კონტექსტ მაგალითის საშუალებით მოსწავლეს საშუალებას აძლევს სიღრმისეულად გაიაზროს შესასწავლი საკითხი და მკვიდრი წარმოდგენების სახით გააცნობიეროს ცნების ესა თუ ის მახასიათებელი. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში მოსწავლეებს დავალებების ცხოვრებისეული კონტექსტები ეხმარებათ. ასევე მნიშვნელოვანია სწორედ შერჩეული კონტექსტმაგალითი, და მრავალფეროვანი რესურსები, რათა სრულყოფილად მოხდეს ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** -კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია თემის შესაბამისი საკითხები, ყველა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. სწავლა სწავლების პროცესში მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას შორის და იმგვარადაა დაგეგმილი სწავლის პროცესი, რომ უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

კურიკულუმებში პედაგოგთა მიერ საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოჩნდა, რომ არაფორმალური განათლების მხრივ, მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტებში, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდაც გეგმავენ მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს საგნობრივ კონტექსტებში მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-

სოციალურ განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან. ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. მაგალითად, სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, იაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას დავალების საბოლოო პროდუქტზე, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას. გარდა ამისა, სასკოლო პროექტების აქტივობები გააზრებულადაა მიმართული მოსწავლეთა გლობალური 6 უნარის განვითარებისაკენ.

**ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

საშუალო საფეხურის შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ ჰოლისტური შეფასების როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. ამას მოწმობს წარმოდგენილი რუბრიკები, რომლებიც შეფასების მრავალფეროვან და განსხვავებულ მიდგომებს შეიცავენ. კონკრეტულ საგნობრივ საკითხზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში იკვეთება საგნობრივი საკითხების როგორც ანალიტიკური შეფასება ასევე ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტები. ამის ნიმუშს წარმოადგენს პროექტში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების კრიტერიუმები, რომლებიც უმეტესად ჰოლისტურ ხასიათის განმავითარებელ შეფასების პრინციპებს ეყრდნობა. შემაჯამებელი დავალებების განხილვისას კოლეგები შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ და უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს შეფასების განსხვავებული ამოცანების შესახებ, იკვეთება კათედრის მზაობა შეფასების მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებისა, მათ შორის ინტეგრირებული და პროექტული გაკვეთილებთან მიმართებითაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რას შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის.
**ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას ახალი სასწავლო წლისთვის შემუშევებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც სკოლა განახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულების მიმართულებით. ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვას და წარმართვას სკოლაში უზრუნველყოფს ვერიფიკაციის ჯგუფი რომელიც კათედრის ხელმძღვანელებთან კონსულტაციის გზით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. დოკუმენტი ადგენს მოსწავლის შეფასების პრინციპებს,რომელიც ეფუძნება ვალიდურობას,სანდოობას,გამჭვირვალეობას,სამართლიანობას და ობიექტურობას, აყალიბებს ამ პრინციპების კრიტერიუმებს.სკოლის ვერიფიკაციის მნიშვნელოვანი პუნქტები ეხება შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობას სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების გაანალიზებას და ღონისძიებების დაგეგმვას შედეგების გასაუმჯობლესებლად.ვერიფიკაციის დასკვნის საფუძველზე პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას რომელშიც ასახული იქნება გამოვლენილი პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრის გზები ასევე განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.
**ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორი 2.2.2. 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

შეფასების დოკუმენტაცია გადაეცემა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქცია, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი.
**ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- სკოლის ონლაინ ჟურნალები
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- ინტერვიუ პედაგოგებთან

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ღირებულებებში ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისათვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოთ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით, საერთო ძალისხმევით განხორციელებულ პროექტული, კლუბური და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების წარმართვით.

**ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კერძოდ, მათ ისაუბრეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. არაფორმალური განათლების კუთხით სკოლას ჰყავს ძალიან აქტიური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

თვითმმართველობა, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების, ინტელექტუალური თაშების ორგანიზატორია. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს არსეობას ადასტურებს ისიც, რომ მათთვის გამოყოფილია ცალკე სივრცე სადაც განთავსებულია რადიოკვანძი და მართავენ მოსწავლეები. სკოლას აქვს კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საკონფერენციო დარბაზი და დასტურდება, რომ მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია.

**ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც ხორციელდება სკოლაში. ასევე, წლის განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს ,,კრიტიკული მეგობარი“, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ესწრებიან გაკვეთილებს, აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თვითგანვითარებაში. აღსანიშნავია, რომ სკოლას დიდი გამოცდილება აქვს პროფესიული ორიენტაციის კუთხითაც კერძოდ, მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა სფეროში ჩართულმა მშობლებმა პრეზენტაციები მოამზადეს და მოსწავლეებს წარუდგინეს. მომავალში, ამ პრაქტიკაზე დაყრდნობით, იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეებთან ინტერაქტიური საუბარი.

**ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაბუტაშვილი ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დონეზე. სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად აქტიური შეხვედრები ტარდება მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან სადაც ყურადღება მახვილდება უთიერთმხარდაჭერასა და პატივისცემაზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკური გარემოს მოწყობა ასევე არაფორმალური აქტივობები, ლაშქრობების, ექსკურსიებისა და გასვლითი ღონისძიებების დაგეგმვა და გახორციელება, რომელიც სკოლის ძლიერი მხარეა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების წინაპირობაა.

**ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საფეხურის კურიკულუმები
- ინტერვიუ დირექციასთან
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

7. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
8. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
9. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, გამოკვეთს თუ რა მიზანს ემსახურება შეფასება, საჭირო მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებსა და გზებს, თუ როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. იმართება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მასწავლებელბის შეხვედრა, სადაც ჯერ იგეგმება სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, შემდეგ კი კეთდება მონიტორინგი კათედრის წევრების დაკვირვების შედეგების საფუძველზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად. კათედრაზევე ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისკენ. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით.
**ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**
სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და მეთოდოლოგიაში გაწერილი კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებიდან გამომდინარე, კათედრის თითიეული წევრი კათედრის თავჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე. ამდენად სკოლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ასევე, მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარადჭერის ჯგუფის წევრების მიერ. დირექტორის მოადგილე, ამ ანგარიშების საფუძველზე აკეთებს სტატისტიკას, აანალიზებს გასაუმჯობესებელ მხარეებს და იგეგმება სხვადასხვა აქტივობებს.

**ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მეთოდოლოგიაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ჩანდა, რომ მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში ახდენენ ძლიერი და სუსტი მხარეების, ხელისშემშლელი ფაქტორებისა და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებას კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის და შემდეგ ცვლილებებს ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. მონიტორინგის და შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია აისახება სამოქმედო გეგმაში, სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ და ისახება პრობლემის მოგვარების გზები. მომდევნო წლიდან იგეგმება ურთიერთდასწრებები, მიღებული ინფორმაციის გაანალიზება პროფესიულ განვითარებაზე.

**ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუ მასწავლებლებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცაშაძე ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

.2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 2.3.2.1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუირებით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
**ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე იდენტიფიცირებაზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის კათედრებია თვლიან რომ მოსწავლეთა შეფასება განხორციელდეს მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებს. მაგ, ყურადღება ექცევა რამდენად აქვს გადმოცემის უნარი, შესაძლებელია მოსწავლეს ზეპირსიტყვიერი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გადმოცემის უნარი ნაკლებად ჰქონდეს და ამის გამო სრულყოფილად ვერ გადმოსცემდეს მის მიერ მიღებულ ცოდნას. გაითვალისწინება რამდენად სრულყოფილად აქვს გაგებული კონკრეტული თემა, აღნიშნულს მასწავლებელი ახორციელებს სხვადასხვა კითხვის დასმით, რომლითაც ადგენს რომ მოსწავლეს ამომწურავად აქვს გაგებული საკითხი.
**ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

გასაუბრებისა გამოიკვეთა, რომ სკოლა მონაცემთა შეგროვების პროცესს ანხორციელებს სკოლის მიზნისა და საჭიროების იდენტიფიცირებით. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: დაკვირვება, შეფასების რუბრიკები, ინტერვიუ, შევსებული თვითშეფასების კითხვარები, მშობელთა გამოკითხვის ფორმები, სხვადასხვა ტიპის კვლევების ანკეტები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება შემაჯამებელი თუ დიაგნოსტიკური წერები, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეს აძლევს თვითშეფასების შესაძლებლობას განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ერთ-ერთ მეთოდად ხოლო ზემოდ აღნიშნული მეთოდები გამოიყენება დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისათვის.
**ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომლისათვისაც სკოლა იყენებს მულტიფაქტორულ მიდგომას. გასათვალისწინებელია ინდივიდზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები და სოციალური გარემო სადაც იგი იზრდება და ვითარდება. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე შეფასებისას მასწავლებლები უნდა ეყრდნობოდნენ მრავალ ფაქტორებს და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეთა შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორებს იყენებენ: ახდენენ მოსწავლეთა დიფერენცირებული პროფილის შექმნას; იკვლევენ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარებს; ეძიებენ უნარების განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები
- ინტერვიუ პედაგოგებთან
- კათედრების სხდომების ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

5. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
6. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature] ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მასწავლებლები გასაუბრებისას გამოყოფენ მნიშვნელოვან ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრის წევრები ამზადებენ ე.წ. დოკუმენტების კრებულს სიტყვიერს თუ სარეკომენდაციოდ გაწერილი მასალების ნაერთს, რომლებიც შეიცავს: რა მიგნებები აქვთ სამუშაო გამოცდილებიდან კარგი, რას დასჭირდება გადამუშავება, რატომ არ გაამართლა ფურცელზე დაწერილმა, რამ გაამართლა და რატომ, როგორ გამოვკვეთე პრობლემა და როგორია გადაჭრის გზები და საშუალებები, ამ შედეგებს აჯერებენ და წარუდგენენ ადმინისტრაციას. ადმინისტრაცია აანალიზებს და მასწავლებლებთან მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავს აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერას.
**ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა არის ციკლური პროცესი. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც თავად მათ მიერ კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ გამოცდილებას, ისე სხვა მასწავლებელთა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. აღნიშნულის საფუძელზე შეიქმნება გადამუშავებული კურიკულუმი, რომლებიც გამოიყენება მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია ფურცელზე დაწერილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის.
**ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ
- კათედრების სხდომების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.........................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

24.11.2023
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------